# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 21 იანვარი 1997 №6 (371) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ იქნება ნაკრების ახალი მწვრთნელი?

ჩივაძის გადადგომამ ყველაზე მეტად ფეხბურთის ფედერაცია დააფიქრა. საქმე ისაა, რომ სამარქაფო ვარიანტზე აქამდე არც არავის უფიქრია და, შესაბამისად, არც მის საგანგებოდ მომზადებისთვის უზრუნია ვინმეს. არჩევანი ისევ იმ მწვრთნელებზე მიდგა, ვისაც ამა თუ იმ გუნდის (სხვადასხვა დროის თბილისის „დინამოს") წარმატებული თავკაცობით დაუგდია სახელი.

რაკი დავით ყიფიანმა და გივი ნოდიამ ნაკრების მწვრთნელობაზე უარი განაცხადეს, გასარკვევი ისღა გვრჩებოდა, რას ფიქრობდა რევაზ ძოძუაშვილი. გუშინ საღამოს მას რიგაში დავუკავშირდით.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა თუ შემოგთავაზეს?

— ჩემთვის ასეთი წინადადებით არავის მოუმართავს. ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელად უფრო ისეთი პიროვნებას შეიგულებდნენ, ვინც ფედერაციასთან მეტადაა დაახლოებული, თუმცა ამასაც ვერ დავიჟინებ, რადგან ამ საკითხის გარშემო არსებულ სიტუაციაში გაურკვეველი ვარ.

საერთოდ კი, ნაკრების მწვრთნელად ისეთი პიროვნება წარმომიდგენია, ვისაც საქმეში წარმატებისთვის მიუღწევია.

— არ შემოუთავაზებიათო, ბრძანეთ. რომ მოემართათ ასეთი წინადადებით, თუ დათანხმდებოდით?

— ფედერაცია თუ მომმართავს და, რაც მთავარია, მათი მხრიდან ხელშეწყობა მექნება, ბუნებრივია, დავთანხმდები, რადგან აქაურ კარგ პირობებში მუშაობას, მირჩევნია ისევ ქართულ ფეხბურთს გამოვადგე.

ჩივაძის გადაწყვეტილებაზე კომენტარი და მისი სავარაუდო შემცვლელის დასახელება ნაკრების რამდენიმე წევრს ვთხოვეთ.

### ზაზა რევიშვილი

— ყიფიანი ყველაზე რეალურ და სასურველ კანდიდატად მიმაჩნია. როგორც ვიცი, ლაპარაკი იყო მასზე და ძოძუაშვილზე. ორივე კარგი სპეციალისტია, ეს საქმითაც დაამტკიცეს, თუმცა უფრო რეალურად, ვიმეორებ, მაინც ყიფიანის დანიშვნას ვფიქრობ.

### ირაკლი ზოიძე

— რა კომენტარი უნდა გავუკეთო ჩივაძის გადადგომას? ეს თვითონ მისი გადასაწყვეტი იყო — ისურვა ნაკრებიდან წასვლა და წავიდა.

— მის მემკვიდრედ ვინ გესახება?

— ეს ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს. მე შეიძლება ბევრი ვინმე მსურს, მაგრამ მე ირაკლი ზოიძე ვარ, ნაკრების რიგითი წევრი, ნაკრების მწვრთნელი კი ფედერაციის ხელმძღვანელებმა უნდა დანიშნონ, ეს რა ჩემი საქმეა. ვერც იმას ვიტყვი, ვინ მიმაჩნია ნაკრების მწვრთნელობის ჩემთვის სასურველ კანდიდატად.

### გიორგი ჩიხრაძე

— ძალიან მიძნელდა ამ თემაზე საუბარი, თუმცა, ჩემი აზრით, ცუდი შედეგების გამო უფრო მეტი პასუხისმგებლობა ჩვენ, ფეხბურთელებს გვეკისრება.

— ვინ წარმოგიდგენია ნაკრების მწვრთნელად?

— მე ფეხბურთელი ვარ და ეს ჩემი საქმე არ არის. ვინ იქნება ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ფედერაციამ უნდა გადაწყვიტოს. ეს მათი საქმეა. საქართველოში რამდენიმე გამოცდილი სპეციალისტია და არჩევანიც, ალბათ, მათზე შეჩერდება.

— ნაკრების სხვა წევრებმა თავიანთი მოსაზრება მაინც გამოთქვეს. ლაპარაკი ძირითადად ყიფიანსა და ძოძუაშვილზეა...

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, ორივე კარგი სპეციალისტია და საქმიანობაში საკუთარი ხელწერით გამოირჩევიან. მიჭირს, რომელიმეს უპირატესობა მივანიჭო...

### კახი გოგიჩაიშვილი

— მიჭირს ჩემი აზრის გამოხატვა. ვფიქრობ, ჩივაძეს თავის დაწყებული საქმე ბოლომდე თავადვე უნდა მიეყვანა, რადგან ახალმოსული მწვრთნელი ამ ეტაპზე მაინც ვერაფერს შეცვლის.

— შენი აზრით, ვისი მოსვლა უფრო მოსალოდნელი?

— არ ვიცი, ვის როგორი შანსი აქვს, მაგრამ ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ნაკრების მწვრთნელად ყიფიანის დანიშვნას ვისურვებდი.

## გუშინ ახალკაცმა მწვრთნელობა შოთა ჭეიშვილს შესთავაზა

ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა შორის ახალი სახელიც გამოჩნდა, რისი გამომზეურების მიზეზი შეკრებაზე მყოფი „ბათუმის" მთავარი მწვრთნელის შოთა ჭეიშვილის თბილისში მოულოდნელი გამოჩენა გამოდგა. როგორც შევიტყვეთ, გუშინ შუადღისთვის ჭეიშვილი ახალკაცს შეხვდა და მისგან შეთავაზებაც მიიღო. „ბათუმის" მწვრთნელის პირობა ასეთი ყოფილა: ნაკრებში და კლუბში პარალელურად ვიმუშავებო, რაზეც ფედერაციის პრეზიდენტი არ დასთანხმებია, თუმცა ჭეიშვილის ვარიანტი საბოლოოდ არ გამორიცხულა.

!!! სენსაცია !!!

## დინამო — იუვენტუსი ჩელენტანოს თანხლებით

გუშინ თბილისს იტალიის ერთ-ერთი მძლავრი ფირმის „ფენეირე-კონსულტის" წარმომადგენლები ესტუმრნენ და კახი ასათიანს შეხვდნენ. იტალიურ ფირმას სტადიონების მშენებლობის და ტექნიკური აღჭურვის დიდი გამოცდილება ჰქონია. „ფენეირე-კონსულტთან" კავშირი ეროვნული სტადიონის დირექტორმა ნუკრი კაკილაშვილმა და თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ დაამყარეს. კაკილაშვილის თქმით, იტალიური ფირმა სტადიონის კაპიტალური რემონტის გაკეთებას აპირებს.

დღეს იტალიელები 11 საათზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდებიან, 14 საათზე კი ნიკოლეკიშვილს ეახლებიან. თუ ყველაფერი მალე გადაწყდა, სტადიონის რეკონსტრუქცია უახლოეს ხანს დაიწყება: იტალიელებს ბიზნეს-გეგმა უკვე გამზადებული ჰქონიათ. ასეთ შემთხვევაში რეკონსტრუქცია სავარაუდოდ წლის ბოლოსთვის დასრულდება.

იტალიელებს განახლებული სტადიონის გახსნაზეც აქედანვე უზრუნიათ — მათი თქმით, სტადიონი „დინამო" — „იუვენტუსის" მატჩით გაიხსნება, ადრიანო ჩელენტანო კი კონცერტს გამართავს.

**წუხელ ბრაზილიელი რონალდო ფიფას ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს**

## მელბურნში საზარლად ცხელა

დღეიდან ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალებია.

ქალებიდან ნორჩი ჰინგისისა და ეშხიანი პირსის გარდა ყველა ბობოლა გავარდა, მათ შორის დიდი შტეფი გრაფიცა და ორივე გამოჩენილი ესპანელი — სანჩესიცა და მარტინესიც.

ვაჟთა ტურნირის მშვენებანი — სამპრასიც, ჩანგიც, ივანიშევიჩიცა და მუსტერიც აგრძელებენ არაქათგამცლელ ომს ხელოვნურსაფარიან მოედნებზე, თაკარა მზეში 50-60 გრადუსამდე რომ ხურდება და ჩოგბურთელებს სულს უხუთავს.

მეოთხედფინალური წყვილები

ქალები: კუტცერი (12) — პო, აპელმანსი (16) — პირსი; სპირლეა (8) — ჰინგისი (4), მ.ჯ. ფერნანდესი (14) — ფანრუსტი

ვაჟები: სამპრასი (1) — ა. კოსტა (10), ივანიშევიჩი (3) — მუსტერი (5); მოია — მანტია (14), რიოსი (9) — ჩანგი (2)

დაწვრილებით იხილეთ მერვე გვერდზე




სამპრასს გუშინ ისე დასცხა, რომ შესვენებისას ვენტილატორით ითქვამდა სულს

## ანტიკურის ქართულ-ოსური ვარიანტი

**საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში**



ჩემპიონატი 17-18 იანვარს გაიმართა. ტურნირის პირველ დღეზე წინა ნომერში მოგითხრეთ, ამიტომ მხოლოდ იმასღა გავიმეორებთ, რომ ეს ჩემპიონატი ფილას ახალი წესებით ჩატარდა.

თავდაპირველად ბრინჯაოს მედლების მაძიებლები შეეტოქნენ ერთმანეთს. მჩატე წონაში მალხაზ ნიშნიანიძე და კობა ბალავინოვი გამოვიდნენ ხალიჩაზე. ეს შეხვედრა იმიტომ გამოვარჩიე, რომ ლოგიკურად დაიწყო და ერთგვარად ალოგიკურად დასრულდა. მეტოქეზე უფრო ტიტულოვანმა ბალავინოვმა ქულა-ქულაზე აართვა მეტოქეს და დაწინაურდა — 8:2. კობას სუფთა გამარჯვებამდე ბევრი აღარ აშორებდა და ყველა ელოდა, ამ ოთხ ქულასაც იოლად მოიგებსო, მაგრამ ნიშნიანიძემ უჩვეულო ჟინი და სიმტკიცე გამოავლინა, არ შეეპუა მეტოქეს და ჩოქბჯენიდან დაატრიალა ბალავინოვი. ამ დროს მსაჯი ძალზე ახლოს იყო მოჭიდავეებთან და მალხაზმა მსაჯიც დასცა ბეჭებზე, მაგრამ მსაჯის წაქცევისთვის სუფთა მოგება არ დააფიქსირეს არბიტრმა, სამაგიეროდ, ბალავინოვს 3 ქულა აართვა, მერე ქულას-ქულა მოაყოლა და ანგარიშიც გაყაიმდა — 8:8. ამასობაში დროც ამოიწურა, არც ერთ მოჭიდავეს გაფრთხილება არ ჰქონდა და ბრძოლაც პირველ ქულამდე გაგრძელდა. ნიშნიანიძემ ეს გადამწყვეტი ქულაც აართვა ბალავინოვს და ღირსეულად ირგუნა ბრინჯაო.

ოქროს მედლისთვის ბრძოლაში ხელმოცარულთა შეხვედრებიდან შიო გოგლიჩიძისა და დიმიტრი გელაშვილის (85 კგ) შეხვედრას გამოვყოფ. გელაშვილმა მართლაც ოსტატურად იჭიდავა და ლამაზი ილეთებით დაამარცხა მეტოქე. გენადი ჩხაიძემ 45 წამში წმინდად დაამარცხა დავით ოთიაშვილი და მე-3 ადგილზე გავიდა. პასიური ჭიდაობა, მოგეხსენებათ ყველაზე ხშირად მძიმეწონოსანთა შეხვედრისას გვხვდება ხოლმე. მეტად ინერტულმა დაიწყეს ჭიდაობა გიორგი წურწუმიამ და თამაზ გოგელიამ, ამიტომაც ორივე მსაჯთა მაგიდასთან მიიხმეს და დაამუნათეს. თითქოს ამას ელოდნენო, ბიჭებმაც დაიწყეს და ლამაზი ჭიდაობით მოხიბლეს ქომაგები, გოგელიამ გიორგიზე მეტად გამოიღო ხელი და ღირსეულადაც გაიმარჯვა — 6:0. სხვა საინტერესო ბრინჯაოს მედლის მაძიებელთა შეხვედრებში არა მომხდარა და თავს არ შეგაწყენთ ერთფეროვანი ორთაბრძოლების აღწერით.

გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

## ნოდია ქართველებს ვერ ელევა

სანქტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელს გივი ნოდიას ძმებ კილასონიებთან გამომშვიდობებამ მოუწია. ლამის იყო, ბურნაძეც თავის „მეტალურგისკენ“ გამოეშურა, მაგრამ საბოლოოდ მაინც პეტერბურგში დარჩა და მინდორზე ეულ ქართველად რომ არ დარჩენილიყო, ამაზე გივი ნოდიამ იზრუნა: „ლოკომოტივის“ დაცვას წელს ყოფილი ქუთაისის ტორპედოელი, ბოლო ხანს ვლადივოსტოკის „ლუჩში“ მოთამაშე არჩილ ჩხაბერიძე გააძლიერებს.

ეს ამბავი ჩხაბერიძის თანაგუნდელმა დათო ნოზაძემ შეგვატყობინა, რომელიც ჯერაც ქუთაისში გახლდათ და ვლადივოსტოკში წასასვლელად ემზადებოდა.

## უგუნუო „ოდიში“ ზანტად იწყებს

ზუგდიდის „ოდიში“, 16 იანვარს რომ უნდა შეკრებილიყო, კვირას გაურკვეველ მდგომარეობაში დაგვიხვდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა ზუგდიდს შაბათსღა სწვევია და გუნდის შეკრება ორშაბათისთვის ჰქონდა ნავარაუდევი. მისგან გუნდის შესახებ სხვა ვერაფერი გავიგეთ, რადგან კლუბის პრეზიდენტ ბეჟან გუნავასკენ მიგვასწავლა, მე კი, გთხოვთ, შემეშვათო. „სარბიელს“ ასეთი პასუხი მურთაზ ხურცილავასგან არასდროს მიუღია და ცხადი გახდა, მთლად კარგად რომ ვერ იყო საქმე. პრობლემებზე ბეჟან გუნავა უფრო გულღიად გვესაუბრა, მაგრამ გვთხოვა, ბუზი სპილოდ არ გვექცია და ვითარების გაუმჯობესებამდე რამდენიმე დღე დაგვეცადა. სასიამოვნო ინფორმაციად კი ის გვაუწყა, უკვე 4 დღეა, რაც „ოდიში 2“-მა ვარჯიში დაიწყოო. იმ პირობებში, როცა ზოგნი ერთ გუნდს ვერ ინახავენ, საეჭვო კია, „ოდიშს“ რამე დაემუქროს, მაგრამ პრობლემები, ეტყობა, ყველას ერთნაირად აწუხებს.

„ალანიაში“ მოვარჯიშე ვალტერ გუჩუას შესახებ გუნავამ გვითხრა, ხელმძღვანელებთან შეუთანხმებლად წავიდაო და იმედი დაიტოვა, რომ ფედერაცია დანაპირებს შეასრულებს და გუჩუას „ალანიაში“ შესაბამისი კომპენსაციის გარეშე არ გაუშვებს. მისივე თქმით, გუჩუას „ოდიშთან“ ერთწლიანი კონტრაქტი ჰქონია და უკვე აუღია კიდეც 11 ათასი დოლარი. ამ თანხის დასახელება, ცოტა არ იყოს, გვეუცნაურა, მაგრამ ბატონი ბეჟანი უფრო მეტს, კლუბის ერთიანი ხარჯთაღრიცხვის საჯაროზე გამოტანასაც დაგვპირდა.

## „ოდიში“ მიქაძესაც მოისაკლისებს

„ოდიშის“ ცენტრალურ მცველს ლევან მიქაძეს გერმანიის რეგიონალლიგაში თამაშის სურვილი გამოუთქვამს, რასაც ზუგდიდური კლუბის ხელმძღვანელობა გაგებით მოჰკიდებია. ეგაა, მიქაძის საკითხის გადაწყვეტას ამ გუნდში შექმნილი დროებითი გაურკვევლობა აფერხებს. ფინანსური პრობლემების წინაშე მდგომი „ოდიში“ მაინც არ ჩქარობს მიქაძის გაშვებას, რომელიც თავის საუკეთესო ფორმაში ზუგდიდელთა დაცვის მთავარი ფიგურა იყო. მიქაძის სურვილი ფინანსურ მოტივებზე დამყარებული არ უნდა იყოს, რადგან მას, შარშან მანქანა რომ უყიდეს, უკმაყოფილების სერიოზული მიზეზი არც აქვს.

## „დილამაც“ დაიწყო

გორის „დილას“ რომ ცუდი დრო უდგას, არ ახალია და აკი ახლახანაც გაუწყეთ, ფეხბურთელები გასაქცევად გამზადებულანო. ამ ყოველივემ, ეტყობა, გვარიანად შეაშფოთა კლუბის ხელმძღვანელობაც და რაიონის თავკაცობაც და, ემანდ გუნდი მართლა არ დაგვეშალოს, საქვეყნოდ თავი არ მოგვეჭრასო, სასწრაფოდ დაფაცურებულან, მწვრთნელები და ფეხბურთელები შეუკრებიათ და ყოველივე სიკეთეს შეპირებიან. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ ხადურიც დარჩენილა ადგილზე, პრეზიდენტობა კი თავად გამგებელს დავით ქობლიანიძეს უტვირთია. დაპირებებს მწვრთნელ-მოთამაშეები შეუგულიანებია და ამათაც სასწრაფოდ მეორე წრისთვის მზადება დაუწყიათ.

# „ტორპედოში“ დათბა

მარქსმა კი თქვა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, მაგრამ მაინცდამაინც ქუთაისშიო, არ დაუყოლებია.

ფუ, ეშმაკს, მარქსი რამ გამახსენა, ანაც ქუთაისთან რა მოსატანი იყო. კი, გუშინ თუ გუშინწინ მარქსის და მისთანათა პორტრეტები ლამის ყოველ მეორე დაწესებულებაში გამოსაჩენ ალაგას ეკიდათ, მაგრამ ახლა სხვა დროა. სხვა დროა და თანაც ხელში სპორტული გაზეთი გიჭირავთ, ასე რომ, ბუნებრივია, ჩვენგან ინფორმაციებსაც სპორტზე ელით.

ისე, მართლა რამ გამახსენა სოციალიზმის ბაბუაწვერა ფუძემდებელი, ამ რამდენიმე დღის წინ ხომ ქუთაისში საღორიის „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზე გახლდით, რომლის ძირითადი კორპუსის დასასვენებელი სართულის ფოიეს სახელოვან ტორპედოელთა სურათები ამშვენებს...

მოდით, ჯერ „ტორპედოზე“ ვთქვათ, მერე კი „პროლეტარებზე“, ამათ ხომ ისედაც ვერ ავცდებით, გვერდს ვერ ავუვლით არა იმიტომ, რომ „ტორპედო“ ეკლესიის თაგვივით ჯიბეგაფხეკილია.

არა, ეს დრო ამ კლუბმა ძველ წელს გაატანა, ახალ წელს კი ხელები (გამაშებიც) დაიკაპიწა და მოლხენაც არ აცალა თავს, ისე შეუდგა ძნელი საქმის კეთებას.

ვერ ვიტყვი, ბაზაზე მისულმა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული კომპლექსი ველარ ვიცანი-მეთქი. საამისო მას არც სასიკეთო და არც საუარესო არაფერი ეტყობოდა, მაგრამ მზრუნველი ხელი ცოტად მაინც დასტყობოდა. ამას მინდვრის საფარზე ვერ ვიტყვით. მაგრამ რამდენიმე წლის წინ შემთხვევით დამწვარი საუნა ისე გაუახლებიათ, ნამდვილად მალე ჩადგება მწყობრში. ძირითად კორპუსში ჩამტვრეულ-ჩემოლებული მინებიც ჩასმული დამიხვდა და სითბოც შემონახული.

ასე იმად ვთქვი, რომ იმ დღეს ბაზაზე ელექტრომრიცხველს დგამდნენ და გათბობა გამორთული ჰქონდათ, ამიტომაც მილები ოდნავ შემთბარი იყო, მაგრამ მათზე გადაკიდულ დანამულ ტანსაცმელს რომ ვკიდე თვალი დავრწმუნდი, იქ გათბობის იმედი რომ ჰქონდათ.

ისე, წინადღეს გათბობის სისტემა წყლისგან გაუცლიათ და ეტყობა, დაუდევრობით ერთ-ერთი საკეტი ღია დარჩენიათ, ამიტომაც იყო, ჩიხურის პირას გაზრდილ ვახტანგ თურმანიძეს დილით მხარულის გახსენება დასჭირვებია, ოთახიდან რომ გამოეცურა. ეტყობა თურმანიძესაც და მის თანამეინახე შენგელიასაც ღრმა და მშვიდი ძილი ჰქონიათ, რაკი დილამდე ვერაფერი გაიგეს. სხვები, ალბათ, გვიანობამდე ახალდადგმული პარაბოლური ანტენის საშუალებით უცხოურ არხებს ჩაუჯდნენ. თუმცა ბიჭებს ჯერჯერობით ამისთვის არ ეცლებათ, რადგან მთავარ მწვრთნელს სოსო ფრუიძეს ისინი სამჯერად ვარჯიშებზე ჰყოლია. დილით და შუადღეს „ტორპედო“ ცენტრალური სტადიონის სარბენ ბილიკებზე ვარჯიშობს, საღამოს კი ორმხრივ თამაშს აწყობს გეგუთის სპორტსკოლის ნამდვილად სახარბიელო მინდორზე. იმის მიუხედავად, რომ „ტორპედო“ თავის ბაზაზე მხოლოდ იკვებება და ისვენებს, აქაურობას მოცლილი-მოცდენილს მაინც ვერ ნახავთ, რადგან აქ მთავარი მწვრთნელის ედუარდ შავგულიძის ხელმძღვანელობით „ტორპედო 2“ ვარჯიშობს.

ეს ყველაფერი, იოლი მისახვედრია, „ტორპედოს“ ახალი თანამეპატრონის „სიგმაბანკის“ დამსახურებაა. სოსო ფრუიძის თქმით, მის დახმარებას რომ დაეგვიანა, არავინ იცის, „ტორპედოს“ რა ბედი ეწეოდა. მერიას ხომ 3 თვის ხელფას-პრემია ჯერაც გაუსტუმრებელი აქვს და „სიგმაბანკთან“ ხელშეკრულების გაფორმებაზე ფეხს ითრევს. ამის მიზეზი ის თუ იქნება, რომ მერიის წილი ვალის გასტუმრებაზე „სიგმაბანკი“ თანახმაა, მაგრამ იმ პირობით, თუ ეს თანხა ხელშეკრულების პროცენტულ მაჩვენებელში აისახება. საოცარია, თუმც კი სასიამოვნო, „სიგმაბანკი“ მაინც რომ გამოდის თანხებს ავანსად და გუნდის სამზადისი არ ფერხდება.

ახლა მასზეც, ვისაც (ნუ გვიწყენენ) პროლეტარები ვუწოდეთ. სოსო ფრუიძის თქმით, ამჟამად გუნდში 26 ფეხბურთელი ვარჯიშობს, მათ ჯერაც არ შეერთებიათ ტრავმირებული ჩხეტიანი. მოთამაშეთა ეს რაოდენობა მას შემდეგ შეიკრიბა, რაც გუნდიდან ოთხი ფეხბურთელი — ხელაძე (პოლონეთში), შეყრილაძე, რუხაძე და ვაშაკიძე (ყველა რუსეთში) წავიდა და 8 გასასინჯად მოიწვიეს. ფრუიძემ მათი გვარების კონკრეტულად დასახელებისაგან თავი შეიკავა, გადაწყვეტილი ჯერ არცერთის გადმოსვლაა (შეთანხმება მხოლოდ სამი მათგანის თაობაზეა მიღწეული) და ასეთ სიტუაციაში მათი გვარები რომ მოეიხსენიო, შეიძლება მათ მწვრთნელებს გუნდი დავუშალოო.

ფრუიძისგან სიფრთხილე ნამდვილად კეთილშობილური საქციელია, მაგრამ ფაქტია: „ტორპედოში“ გასასინჯად მოსულთა უმრავლესობას საარსებო სახსარი თავის ძველ კლუბში რომ ვერ უპოვნია, ახალს იმიტომაც მისდგომია. ეგეც არ იყოს, ამ იმედჩასახულ უპოვართა არასრული ნუსხა აქამდეც არაერთხელ გამომზეურდა და ჩემს საქმეს ბოლომდე გაკეთებულად ვერ ჩავთვლი, თუ იმ ახალ სახეებს მეხსიერებაში არ აღვიდგენ, ავტობუსიდან ჩამოსულებმა სწრაფად რომ ჩამიარეს. პირველად სამტრედიელი მცველი პაატა ლურსმანაშვილი დავლანდე, მისი თანაგუნდელი ვახტანგ ხვადაგიანიც იქვე იყო, მალე ერთად მომავალ ძმებს შალვა და ირაკლი ხუჯაძეებსაც შევავლე თვალი; მათ მოჰყვათ სიონელი მეტრეველი, მარგველები მაღლაკელიძე და მარღიშვილი და გორელი გურამ ლომიძე. ამაოდ ვეძებდი მეკარე ასლანაძეს, „კახეთს“ რომ არ გამოუშვია, მაგრამ მალევე შევიტყვე, თუ მისი გადმოყვანა არ მოხერხდა, გორელ რამაზ სოლოლაშვილს ჩამოიყვანენო.

ვინ დარჩება ამათგან „ტორპედოში“, ჯერ არავინ იცის. ერთი რომ, მათი მეპატრონენი საშველის გამოჩენას ელიან და მათ გაყიდვას აჯანჯლებენ. ისიცაა, ვერც „ტორპედო“ სთავაზობს ჯერჯერობით ხელმოსაკიდ თანხას, რადგან სანამ „სიგმაბანკის“ იურიდიული სტატუსი არ დადგინდა, ბუნებრივია, იგი ავანსის სახით საკონტრაქტო თანხებს ვერ გასცემს.

**ვახტანგ ბზიკაძე ქუთაისიდან**

## საქართველოს თასი

### მერვედფინალი

**დინამო 5:0 დინამო 2**

**დინამო:** ჯანელიძე, ჩხაიძე, ზ. ჯელაძე, დიდავა, კუდინოვი (ზამთარაძე 41), ცქიტიშვილი, კიკნაძე, ხომერიკი, კერძევაძე, ანჩაბაძე, დემეტრაძე (ყიზილაშვილი 66)

**დინამო 2:** ლომაია, მესხი, შაშიაშვილი, დავითნაძე, დ. მუჯირი, ბაჯელაძე, გ. კვარაცხელია, მაისურაძე (რუხაძე 46), ასათიანი (კოხრეიძე 62), მიქაძე, კოტორაშვილი, (ხუციშვილი 46)

1:0 კერძევაძე (11), 2:0 ხომერიკი (34), 3:0, 4:0 კერძევაძე (41, 67), 5:0 ხომერიკი (75)

**მსაჯი:** ს. შალამბერიძე (თბილისი)

უჩვეულოდ ნაადრევად დაგვიბრუნდა ფეხბურთი, ჩვეულზე თითმის ორი თვით ადრე. თუმცა ეს მხოლოდ ეპიზოდური დაბრუნება იყო მიზეზი მოგეხსენებათ — „დინამოს“ ინგლისში გამგზავრების გამო საქართველოს თასის მერვედფინალური შეხვედრა დინამოელთა შორის გადაიდო.

იანვრის სუსხი მოთამაშეთ კარგ განწყობას ნამდვილად ვერ უქმნიდა და აკი ეს დაეტყო კიდეც შეხვედრას.

ძირითადმა „დინამომ“, უცხოეთში ჯერ კიდევ წაუსვლელი მოთამაშეებით რომ იყო დაკომპლექტებული, 3-5-2 სქემით ითამაშა, უკანა მცველი კუდინოვი იყო, კაცზე ჯელაძე და დიდავა თამაშობდნენ, ხაზზე ჩხაიძე და კერძევაძე, საყრდენად კიკნაძე და ცქიტიშვილის დუეტი მოგვევლინა, გამთამაშებლად — ანჩაბაძე, თავდასხმაში კი ხომერიკი და დემეტრაძე. უმცროსი დინამოელებიც, ფაქტობრივად, ანალოგიური სქემით თამაშობდნენ: შაშიაშვილი — უკან, კაცზე — დავითაძე და მესხი, ფლანგებზე — ბაჯელიძე-ასათიანი, მოედნის ცენტრში — კვარაცხელია-მაისურაძე-მუჯირი, წინ — მიქაძე და კოტორაშვილი.

შედეგიდანაც ნათლად ჩანს რომ უფრო გამოცდილთა უპირატესობა აშკარაზე აშკარა იყო. მათ ყველაფერი უკეთ გამოსდიოდათ, თავიდანვე დაბომბეს მეტოქე და ჯერაც გაუხურებელზე ანჩაბაძის ბრწყინვალე შორეული გადაცემით კერძევაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა და იხეირა კიდეც. ამის შემდეგ უფროსებმა კიდევ მრავალი მომენტი ვერ გამოიყენეს და მხოლოდ ორჯერ გაიტანეს — ჯერ ხომერიკმა, მერე ისევ კერძევაძემ, რომელმაც მეორე ტაიმში ორ გოლს მესამეც დაურთო და ჰეთ-თრიკიც შეასრულა. „ბაჯბაჯას“ მესამე გოლი არა მარტო ამიტომაა აღსანიშნი: გოლი ყიზილაშვილის გადაცემას მოჰყვა, რომელიც ტრავმის შემდეგ პირველად გამოჩნდა მოედანზე, ბურთთან პირველივე შეხება კი როგორი გამოუვიდა, გითხარით.

„დინამომ“ „დინამო-2“ ძალიან კი დაჩაგრა, მაგრამ მომავლის დინამოელებს კოჭებში ეტყობათ, რომ კარგი მობურთალნი უნდა დადგნენ. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მუჯირი, რომელიც თანაგუნდელებისთვის სამაგალითოდ, ლაღად და უშიშრად თამაშობდა და შეძლებისდაგვარად აწუხებდა ჯანელიძეს. აქტიურები იყვნენ კვარაცხელია, ბაჯელაძე და მიქაძე, მაგრამ მათ ჯერ, ბუნებრივია აკლიათ ის, რაც წარმატების საწინდარია—გამოცდილება და კლასი. საპასუხო შეხვედრა დღეს, 21 იანვარს 14 ს-თზე დიღმის ბაზაზე გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით მუჯირს ზვიად ჯელაძე მეურვეობდა

## ბენდელას თასის სიურპრიზები

ზაზა ბენდელიანის სახელობის ტრადიციულ ტურნირზე ძირითადად ის ფეხბურთელები გამოდიან, ამასწინათ „აიეტის თასზე“ რომ ითამაშეს, ეგაა, გუნდების სახელებია სხვა. ტურნირს ელფერი შემატა თბილისის „დინამომ“, თუმცა შარშანდელმა გამარჯვებულმა მეტად ახალგაზრდული შემადგენლობით დაიწყო, რაკილა საქართველოს თასის მერვედფინალში სწორედ „დინამო“ და „დინამო 2“ ხვდებიან ერთმანეთს და ზურაბ მაისურაძემ და რამაზ მუმლაძემ, ფაქტობრივად, 1979-80 წლებში დაბადებული ჭაბუკები გამოიყვანეს. ტურნირის პირველივე დღე მამა-შვილ კარლალიძეთათვის უიღბლო გამოდგა: ოთარიც („ბენდელა“) და ლევანიც („დინამო“) დაშავდნენ და ტურნირს გამოეთიშნენ. მოულოდნელობაა ოჩამჩირის „ამირანის“ მიერ ყველა მატჩის წაგება, გუნდში ხომ რომეო გოგიტაძე, ნიკა კაკუბავა, ბადრი კვარაცხელია, გელა გაბისონია და პირველი ჯგუფის სხვა ფეხბურთელები თამაშობდნენ.

ყველაზე ძლიერი გუნდი ჯერჯერობით „ქაჩია“, რომელიც მეორე ჯგუფის ლიდერის თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული.

„დინამომ“ გუშინ ზედიზედ ორი მატჩი ითამაშა, რაკილა დღეს თასის განმეორებითი შეხვედრა აქვს სათამაშო და ორივე მოიგო, რაშიც მეკარე ზვიად ჯუპატაძეს და 18 წლის მიშა მესხს მიუძღვით უდიდესი წვლილი. „დინამოში“ ვინც არ უნდა ათამაშოს, ეტყობა, მაინც „დინამოა“ და „სოხუმთან“ მარცხი ალბათ მართლა გადაღლას უნდა დავაბრალოთ. „სამგურალი“ კი, ალბათ, პირველი ჯგუფიდან გავარდნას არ აპირებს, რადგან ტურნირზე ახალბედებს ამოწმებს და გუნდს აკომპლექტებს. ხვალ და ზეგ ნახევარფინალებისა და ფინალის გარდა სპორტის სასახლეში პარლამენტის, პოლიციის, ჟურნალისტების და „დინამოს“ ვეტერანთა მატჩებიც გაიმართება.

### I ჯგუფი

I ტური: დინამო — აკადემია 5:2, ჭაბუკიანი — სოხუმი 1:1, საბურთალო — ხილიანი 4:1; II ტური: ჭაბუკიანი — ხილიანი 0:4, აკადემია — სოხუმი 7:0, დინამო — ხილიანი 1:1; III ტური: საბურთალო — აკადემია 2:0, საბურთალო — ჭაბუკიანი 1:2, დინამო — სოხუმი 1:2; IV ტური: დინამო — ჭაბუკიანი 3:2, საბურთალო — სოხუმი 3:1, აკადემია — ხილიანი 4:2, დინამო — საბურთალო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 10 |
| საბურთალო | 5 | 3 | 0 | 2 | 10:5 | 9 |
| ხილიანი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| სოხუმი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| აკადემია | 4 | 2 | 0 | 2 | 13:9 | 6 |
| ჭაბუკიანი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |

### II ჯგუფი

I ტური: ბენდელა — ქაჩი 1:4, სამგურალი — კოლხი 3:0, ცისარტყელა — ამირანი 4:3; II ტური: ქაჩი — ამირანი 5:1, სამგურალი — ცისარტყელა 1:1, ბენდელა — კოლხი 5:2; III ტური: ცისარტყელა — კოლხი 0:1, სამგურალი — ქაჩი 1:6, ბენდელა — ამირანი 7:1; IV ტური: ბენდელა — ცისარტყელა 4:3, ქაჩი — კოლხი 5:4, სამგურალი — ამირანი 5:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქაჩი | 4 | 4 | 0 | 0 | 20:7 | 12 |
| ბენდელა | 4 | 3 | 0 | 1 | 17:10 | 9 |
| სამგურალი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:8 | 7 |
| ცისარტყელა | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| კოლხი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:13 | 3 |
| ამირანი | 4 | 0 | 0 | 4 | 6:21 | 0 |

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)
(შპს, ინდივიდუალური საწარმო, სს)
რუსთაველის 19.
ტელ.: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39

საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაცია 1-8 თებერვალს სპორტის სასახლეში ატარებს კომერციულ ტურნირს „ოქროს ზარის“ თასზე. ცნობებისთვის მოგვმართეთ სანაპიროს 8, ტანვარჯიშის კომპლექსი (ღია აუზის გვერდით). ტელეფონი: 98-24-48

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა რადიოში კიგანის შესახებ ისაუბრა. მან ბრძანა, რომ ახალგაზრდობაში მოხიბლული იყო კიგანის თამაშით. პრემიერ-მინისტრი „ჩელსის“ გულშემატკივარი ბრძანებულა, მაგრამ კევინი, თურმე, მის მოწონებას იმსახურებდა. „მან ნიუკასლში ჩინებული კლუბი შექმნა. საწყენია მისი უფეხბურთოდ ხილვა. შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს იგი დაუბრუნდეს ფეხბურთს.“

**შვედი** ანდრეას ლიმპარი ლივერპულის „ევერტონიდან“ პირველი დივიზიონის კლუბ „ბირმინგემში“ გადავიდა. ანდრეასს სეზონის ბოლოს სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვეტია, თუმცა ახალი მწვრთნელი ტრევორ ფრენსისი იმედოვნებს, რომ სკანდინაველი კიდევ დიდხანს დარჩება მათ კლუბში.

**პორტუგალიელი** ჟოაო პინტუ სამუდამოდ დაუკავშირდა ლისაბონის „ბენფიკას“. 25 წლის პინტუმ უარი თქვა ბევრ მიწვევაზე და სამშობლოში დარჩენა ამჯობინა. კონტრაქტის პირობები ცნობილი არ არის, თუმცა, გახმაურებული ამბავი იყო, რომ „დეპორტივო“ „ბენფიკას“ მოთამაშეში 11,5 მილიონ დოლარს უხდიდა.

**ბელგიის** საუკეთესო ფეხბურთელი ფრენკი ვან დერ ელსტი ქვეყნის საუკეთესო მოთამაშეთა დაჯილდოების ცერემონიალზე ისე გამოთვრა, რომ მთავარი პრიზი — „ოქროს ბუცი“ მანქანაში დარჩა. „ცოტა არ იყოს, მევცბი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი გამახსენდა. ვამაყობ, საუკეთესო ფეხბურთელად რომ მაღიარეს“ — განაცხადა ბახუსის ტრფიალმა.

**პარაგვაის** ნაკრების კაპიტანმა, ცნობილმა მეკარემ ხოსე ლუის შილავერმა, რომელმაც გოლების შეგდებით გაითქვა სახელი, გაზეთ „ოლე“-ს კორესპონდენტთან საუბარში ქვეყნის პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა. თან დაამატა, რომ პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში მის მიერ შემუშავებული კანონმდებლობის გამოცემა აქვს განზრახული.

**საფრანგეთის** თასის გათამაშებაში მარცხი იწვნია პირველი დივიზიონის ლიდერმა და უეფას თასის მეოთხედფინალისტმა „მონაკომ“. კლუბი მეორე დივიზიონში მე-15 ადგილზე მყოფმა „ლავალმა“ დაამარცხა. მთელი მატჩის განმავლობაში „მონაკო“ უტევდა, მაგრამ „ლავალმა“ მედგრად იბრძოლა და სენსაციაც მოახდინა. მე-10 წუთზე ბარტეხმა ჟანლუის ლომას დარტყმული თერთმეტმეტრიანი გაუშვა, ვერც თავდამსხმელებმა გაიტანეს და „მონაკოც“ ნაადრევად დაემშვიდობა გათამაშებას.

**ბრაზილიელი** ფორვარდი ბებეტო, რომელიც სულ ორი თვე ირიცხებოდა „სევილიაში“, სამშობლოში ბრძანდება. „ვიტორია დე ბაიამ“ ესპანურ კლუბს 4 მილიონი დოლარი შესთავაზა, რაზედაც ევროპელები დაყაბულდნენ. „ის ორი — სპორტული და ფინანსური მიზეზის გამო მიდის“ — განაცხადა „სევილიას“ დირექტორმა, გენერალმა პერმინიო მენდესმა.

**ავსტრალიაში** მიმდინარეობს ოთხთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მასპინძელთა გარდა ნორვეგია, სამხრეთ კორეა და ახალი ზელანდია მონაწილეობს. პირველ ტურში ავსტრალიამ ტერი ვენეიბლზის ხელმძღვანელობით და ბინგლის გოლით ძლია ახალ ზელანდიას, აზიელებმა კი კიმ დო-ჰონის გოლით აჯობეს ნორვეგიას.

**აფრიკის** ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა ისა ჰაიატუმ განაცხადა, რომ შეშფოთებულია კონტინენტის ქვეყნებში დაბალი დონის სათამაშო მოედნებით და უახლოეს მომავალში ამ საკითხის მოსაგვარებლად კომისიის მოწვევას აპირებს. „კომისია დაადგენს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა შეეფარდებოდეს სტადიონი, რათა საერთაშორისო შეხვედრის გამართვა იქნეს შესაძლებელი. ზოგიერთ ქვეყანაში ძალზე ცუდი მინდვრის საფარია. თუ ამ ქვეყნებში მდგომარეობა არ გამოსწორდა, მათ შინ თამაშს ავუკრძალავთ.“

**აშშ-ში** მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ამერიკელთა გარდა მექსიკელები, დანიელები და პერუელები ეპაექრებიან ერთმანეთს. ტურნირი წრიული სისტემით ტარდება. პირველ ტურში მექსიკამ 3:1 დაამარცხა დანია, პერუმ კი 1:0 დაჯაბნა მასპინძლები. მეორე ტურში მექსიკამ 2:0 მოუგო აშშ-ს, ხოლო დანიამ 2:1 სძლია პერუ.

**საფრანგეთის** თასის გათამაშების პირველ წრეში საკმაოდ უცნაური ამბავი მოხდა. წილისყრამ „მარსელი“ და „ლილი“ დააწყვილა, მაგრამ რადგან მარსელის სტადიონს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისთვის რეკონსტრუქცია უტარდება, ქვეყნის ფედერაციამ ბრძანა, მატჩი ლილში გაიმართოსო. მარსელელებმა სასწრაფოდ გააპროტესტეს, იქ ცივა და ვერ ვითამაშებთო. ფედერაციამ იფიქრა და ახალი ადგილის ძებნა დაიწყო. შეხვედრა, შესაძლოა, კანში გაიმართოს.

**მოზამბიკში** გამართულ ამხანაგურ მატჩში მასპინძლებმა მარცხი იწვნიეს ზიმბაბვეს ნაკრებისგან — 1:2. ნგოჯერამ მე-18 წუთზე დააწინაურა სტუმრები, ფაიფემ 49-ზე გაათანაბრა, მაგრამ 58-ზე იმავე ნგოჯერამ სტუმრებს მოაგებინა.

**საემიროების** ფეხბურთის ფედერაციამ გადააყენა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ხორვატი ტომისლავ ივიჩი. ფედერაციამ ივიჩის გაშვების მიზეზად ნაკრების მიერ აზიის თასის ვერმოგება დაასახელა. აგე-ის ნაკრებს ფინალში პენალტების სერიით აჯობა საუდის არაბეთმა. ივიჩი კონტრაქტით 375 ათას დოლარს იღებდა წელიწადში. მას შეცვლის ბრაზილიელი ლორი სანდრი, კლუბ „ალკინ“-ის მწვრთნელი.

**კვიპროსის** ნაკრების მწვრთნელი ანდრეას მიესელიდისი გადადგა. მისი გადადგომა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ბულგარეთთან განცდილმა მარცხმა გამოიწვია. შეხვედრას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა — მატჩი ჩაწყობილი იყოო. კომისიამ ბრძანა, ერთ თვეში ახალი მწვრთნელი მოიძებნოსო. თებერვალში კვიპროსი მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირში, სადაც პოლონეთი, ლიტვა და ლატვია ითამაშებენ.

**გერმანიის** ნაკრების კაპიტანმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, რომ მიიღო წინადადებები ინგლისში გადასვლის თაობაზე, თუმცა, როგორც თქვა, სეზონის ბოლომდე არსადაც წასვლას არ აპირებს, რადგან ძალიან სურს მოიგოს გერმანიის ჩემპიონატი. აქამდე იგი არასდროს ყოფილა ბუნდესლიგის ჩემპიონი. „ახლა მთლიანად ქვეყნის ჩემპიონობაზე ვფიქრობ. ძალიან მინდა გავიმარჯვო. თუ „ბაიერნი“ ამ სეზონის ბოლოს თავის დაცვით სტილს არ შეცვლის, მე კლუბს დავტოვებ. კიდევ ერთ წელს ვითამაშებ, შემდეგ კი ბუცებს ლურსმანზე ჩამოვკიდებ“ — დასძინა კლინსმანმა.

**ინგლისის** პრემიერლიგის კლუბმა „მიდლსბრომ“ განაცხადა, რომ იტალიელი ფორვარდი ფაბრიციო რავანელი კლუბიდან არ წავა. „ჩვენ ვთხოვეთ მას, არ ესაუბრა პრესასთან. ხმები მისი წასვლის შესახებ მონაჭორია. ფაბრიციოს არასდროს მოუმართავს ჩვენთვის წასვლის თაობაზე. იგი თავის მოვალეობას კარგად ასრულებს და „მიდლსბროს“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. კლუბთან რავანელის ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ვიცი, არავის სიამოვნებს, რომ გუნდი ბოლო ადგილზეა, მაგრამ სწორედ ამ დროს უნდა მოვიკრიბოთ ძალა და ყველაფერი ვიღონოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად“ — თქვა „მიდლსბროს“ წარმომადგენელმა კეიტ ლამბმა. მან ისიც დაამატა, რომ კლუბში ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონიც დარჩება, თუმცა ადრე მის გადასვლაზე იყო საუბარი.

# იოჰანესბურგი «ეიზელს» და «ჰილსბროს» გადარჩა

18 იანვარს სამხრეთ აფრიკის დედაქალაქში მეტად პრინციპული შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ქვეყნის უძლიერესი კლუბები — „ორლანდო პაირეტსი“ და „კაიზერ ჩიფსი“. მეტოქე გუნდების გულშემატკივართა მტრული ურთიერთ-განწყობა თამაშის დაწყებამდეც იგრძნობოდა, თუმცა საქმე არ გართულებულა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მატჩზე დასასწრები 100 ათასი ბილეთი გაეყიდა, მაშინ, როცა სტადიონი მხოლოდ 65 ათასს იტევს. მატჩის დაწყებამდე სტადიონის შესასვლელთან ნამდვილი ზედახორა იყო. თავისუფალი ადგილი აღარ დარჩა, მაგრამ ალიაქოთი მაშინ ატყდა, სტადიონზე კიდევ 20 ათასი მაყურებელი რომ შეიჭრა. ერთ ადგილზე ორი კაცი იჯდა. ათასობით გულშემატკივრის რისხვა პოლიციას მაშინ დაატყდა თავს, როცა იგი წესრიგის დამყარებას შეეცადა. პოლიციელთა კორდონები ქვების, ბოთლების, პლასტმასის და ჯოხების ცეცხლში მოხვდნენ. გააფთრებულ გულშემატკივრებს წესრიგის მცველებმა ცრემლსადენი გაზით უპასუხეს. ამან გაგულისებული ხალხი სულ გადარია და ხელჩართულმა ბრძოლამაც არ დააყოვნა. დაძაბულობამ სტადიონს გარეთაც გააღწია და იქ დარჩენილ 15 ათას გულშემატკივარს შორისაც ატყდა ჩხუბი. მატჩი, რა თქმა უნდა, არ გაგრძელდა, თავგადადებულმა ქომაგებმა კი სამი საათი იბრძოლეს. როცა ყველაფერი მიწყნარდა, აღმოჩნდა, რომ სამი გულშემატკივარი და ერთიც პოლიციელი დაღუპულიყო, უამრავიც დაშავებულიყო და დაჭრილიყო. პოლიციის უფროსმა კრის უილკენმა განაცხადა: „ეს ამბავი მთლიანად ფეხბურთის ფედერაციის სინდისზეა. მან გამდიდრებას ხალხის სიცოცხლე შეწირა. დაიღუპა ჩვენი კოლეგა, რომელსაც სახეში ესროლეს. საავადმყოფოში მას ველარაფრით დაეხმარენ. ჩვენ რომ გადამჭრელი ზომები არ მიგველო, მსხვერპლი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა. სამწუხაროა, რომ ასეთ უაზრო ჩხუბს ამხელა სისხლისღვრა მოჰყვა. მეშინოდა, სტადიონი არ ჩანგრეულიყო, ისე იყო გადაჭედილი. ეს მეტად სახიფათო იყო. ღმერთმა ინება, რომ შენობა არ ჩაინგრა, თორემ მსხვერპლი მაშინ გეკითხათ. გამოძიება ყველაფერს დაადგენს, დამნაშავეებიც დაისჯებიან. მე კი ვაცხადებ, რომ ასეთი რამ იოჰანესბურგში აღარ განმეორდება.“

ჩაშლილი მატჩი მეტოქე გუნდებს შორის მოგვიანებით გაიმართა. ტრიბუნები თითქმის ცარიელი იყო, შეხვედრასაც აღარ ჰქონდა ისეთი ეფექტი, როგორსაც მოელოდნენ.

## ინგლისს ახალი სამოსი აქვს

### მშვიდობაში, ვერ ვიტყვით

12 თებერვალს იტალიასთან მატჩში „უემბლიზე“ ინგლისის ნაკრები ახალი ფორმით ითამაშებს. ალბიონელთა სამოსი, ბოლო ორ წელიწადში, აგერ უკვე მეორედ იცვლება. მართალია, ახალი ფორმა თითქმის ყველას მოეწონა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ გულშემატკივრების პროტესტი გამოიწვია — ნაკრების მაისური კვლავ საყიდელი გახდა. განსაკუთრებით პატარა ფანების მშობლები განაწყენდნენ...


ბავშვთა კვება



Gerber

ახალი სიცოცხლის

უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული

ლიდერის გერბერის პატარა ქილებში

თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა


# ყველაფერი რაულმა გადაწყვიტა

## ესპანეთი

### XX ტური

**ბეტისი 2:4 ბარსელონა**

1:0 იარნი (30), 2:0 ხერხი (33 საკ. კარში), 2:1 ლუის ენრიკე (45), 2:2 ლუის ენრიკე (65), 2:3 რონალდო (72), 2:4 ლუის ენრიკე (78)

**სარაგოსა 1:1 ტენერიფე**

0:1 დორადო (69), 1:1 მორიენტესი (92)

**რასინგი 2:1 ლოგრონიესი**

1:0 ბესჩასტნიხი (19), 2:0 ფაიზულინი (70), 2:1 ხოსა (83)

**ოვიედო 3:0 ვალენსია**

1:0 მაკედა (19), 2:0 რივასი (59), 3:0 მაკედა (67)

**ვალეკანო 0:1 სპორტინგი**

0:1 კანო (55)

**ერკულესი 1:0 ვალიადოლიდი**

1:0 სტანკოვიჩი (18)

**დეპორტივო 2:2 ბილბაო**

1:0 დონატო (4 პ), 1:1 ხიგანდა (26), 2:1 მარტინი (45), 2:2 გერერო (82)

**სელტა 0:1 ესტრემადურა**

0:1 ხილვანი (41)

**სოსიედადი 4:1 კომპოსტელა**

1:0 კოვაჩევიჩი (22), 2:0 დე პედრო (39 პ), 3:0 ადეპოჟუ (70), 3:1 ოჰენი (69), 4:1 დე პედრო (82პ)

**ატლეტიკო 1:4 რეალი**

1:0 კიკო (32), 1:1 რაული (46), 1:2 რაული (82), ზეედორფი (85), ვიქტორი (90)

ესპანიოლი — სევილია წუხელ გვიან გაიმართა

ესპანელები მადრიდულ დერბის მოუთმენლად ელოდნენ. მოლოდინის უმთავრესი მიზეზი ნათელია. გარდა ამისა, იმ დღეს „რეალში“ შედგა იტალიელი მცველის კრისტიან პანუჩის დებიუტი, რომელიც „სამეფო გუნდში“ თავის ძველ მოძღვარს ფაბიო კაპელოს შეუერთდა.

„რეალმა“ „ატლეტიკო“ დაჩაგრა. ამ სიტყვებს ანგარიშის გარდა ისიც ადასტურებს, რომ ოთხიდან სამი გოლი ათმა გაუტანა თერთმეტს. 68-ე წუთზე თანამსაჯის გალანძღვისთვის მოედნიდან ჩერნოგორიელი პრედრაგ მიატოვიჩი გააძევეს. ეს შეხვედრა მისთვის გაძევების გარდა უიღბლო იმიტომაც იყო, რომ პირველ ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან: ორჯერ „ატლეტიკოს“ მეკარე მოლინამ აუღო, ერთხელ კი ხარიხას გადააცილა.

ანგარიში „ატლეტიკომ“ გახსნა. 32-ე წუთზე ველიკო პაუნოვიჩის ჩაწოდებული კიკომ თაურით „რეალის“ კარში შეაგდო. ამ გოლმა გუნდის ქომაგების სირბილი, ხტომა, ცვენა და თოთხმეტი მათგანის დალურჯება გამოიწვია. რადომირ ანტიჩის გუნდს შეეძლო პირველ ნახევარში მეორე გოლის გატანა, მაგრამ ვერ შეძლო. მეორე ტაიმი კი დაიწყო თუ არა, რაულმა გაქვითა. დანარჩენი გოლები მატჩის ბოლო რვა წუთში გავიდა. კაცნაკლული „რეალი“ რაულმა დააწინაურა. მან მეტოქის ორი მცველი რამდენჯერმე მოატყუა და მეტისმეტად მახვილი კუთხიდან დალაშქრა მოლინას კარი. სამი წუთის შემდეგ ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა ამ შეხვედრაში თავისიანების მესამე, ხოლო „რეალში“ თავისი პირველი ბურთი შეაგდო, სულ ბოლოს კი დავორ შუკერის ნაცვლად მოედანზე მე-80 წუთზე შესულმა ვიქტორმა ერთიც დაამატა.

— ძნელია იმის ახსნა, რატომ წავაგეთ ასე — თქვა მატჩის შემდეგ „ატლეტიკოს“ მწვრთნელმა რადომირ ანტიჩმა — ყველაფერი რაულმა გადაწყვიტა.

— „ატლეტიკოს“ მოედანზე ათი კაცით მოგება... გიჟი უნდა ყოფილიყავი, ეს რომ გეევარაუდა — ვერ მალავდა აღფრთოვანებას ანტიჩის მძლეველი კოლეგა ფაბიო კაპელო.

მათი ინგლისელი კოლეგა, „ბარსელონას“ თავკაცი ბობი რობსონი კი შავ დღეს გადაურჩა. წინა ტურში „ერკულესთან“ 2:3 დამარცხების შემდეგ ისევ წაგებას გულშემატკივრები ნამდვილად ველარ აპატიებდნენ და შესაძლოა კატალონიის დატოვებაც მოწეოდა. სამი წუთით ადრე [illegible] ოდა კიდევ „ბეტისი“ [illegible] ბიდან ნახევარი [illegible] ურდა. ხორვატმა რობერტ იარნიმ მორეული ჯარიმით გახსნა ანგარიში. სამი წუთის შემდეგ ტაბლოზე უკვე 2:0 ეწერა. იმავე იარნის ჩაწოდებული სერხიმ საკუთარ კარში ჩაჭრა. პირველი ტაიმის მშრალად წაგებას „ბარსა“ ლუის ენრიკემ გადაარჩინა. მეორე ნახევრის მე-20 წუთზე გვარდიოლას შეტევა კვლავ ლუის ენრიკემ დააგვირგვინა თაური გოლით. მალე რონალდომ კატალონიელები დააწინაურა. მცველები იმ ეპიზოდში, ბრაზილიელისგან აშკარად ცნობილ დრიბლინგს ელოდნენ, მან კი დაარტყა. საფინალო სასტვენამდე თორმეტი წუთით ადრე კი, კუთხურიდან, თაურით ისევ ლუის ენრიკემ ივარგა.

გაუგებარია, გასული სეზონის ბოლოს რატომ მიჰყიდა ლუის ენრიკე „რეალმა“ მთავარ მეტოქე „ბარსელონას“. „ბეტისთან“ სამი გოლის გატანის გარეშეც ცნობილი იყო, რომ ეს თავგაპარსული ბიჭი დიდი ძალაა. ახლა კი, როდესაც ნელ-ნელა იკვეთება, რომ წლევანდელ ტიტულს ძირითადად სწორედ ეს ორი გუნდი შეეცილება ერთმანეთს, აბზაცის დასაწყისში დასმული შეკითხვა რამდენიმე კითხვისნიშანს ითხოვს.

ამ ტურში ფეხი დაუცდა „დეპორტივოს“. ჯონ ტოშაკის გუნდმა შინ მხოლოდ 2:2 ითამაშა ლუის ფერნანდესის „ატლეტიკთან“. „დეპორტივომ“ კარგად დაიწყო, გაესპანელებულმა ბრაზილიელმა დონატომ პენალტით გახსნა ანგარიში, მაგრამ მალე გულშემატკივრებმა მწვრთნელის გინება დაიწყეს. მიზეზი მეორე ბრაზილიელის, რივალდოს მოედნიდან გაყვანა გახლდათ. ტოშაკმა ქომაგთა გინებას უპასუხა, რამაც ხალხი უარესად გაალიზიანა. შესვენებაზე „დეპორტივოს“ პრეზიდენტს აუგუსტო ლენდოიროს მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან სერიოზული საუბარი მოუხდა. არ უშველა — თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ხულენ გერერომ გაქვითა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 20 | 13 | 7 | 0 | 39-14 | 46 |
| ბარსელონა | 20 | 13 | 4 | 3 | 54-26 | 43 |
| დეპორტივო | 20 | 10 | 9 | 1 | 28-12 | 39 |
| სოსიედადი | 20 | 11 | 4 | 5 | 30-22 | 37 |
| ბეტისი | 19 | 10 | 6 | 3 | 39-19 | 36 |
| ატლეტიკო | 20 | 10 | 5 | 5 | 39-27 | 35 |
| ვალიადოლიდი | 20 | 8 | 6 | 6 | 24-22 | 29 |
| ტენერიფე | 20 | 8 | 5 | 7 | 34-22 | 29 |
| ბილბაო | 20 | 7 | 8 | 5 | 33-28 | 29 |
| რასინგი | 20 | 7 | 8 | 5 | 22-21 | 29 |
| ვალენსია | 20 | 8 | 3 | 9 | 28-27 | 27 |
| ოვიედო | 20 | 7 | 4 | 9 | 26-27 | 27 |
| სელტა | 20 | 6 | 6 | 8 | 21-24 | 24 |
| რაიო | 19 | 6 | 5 | 8 | 23-22 | 23 |
| სპორტინგი | 19 | 5 | 6 | 8 | 19-26 | 21 |
| კომპოსტელა | 20 | 5 | 5 | 10 | 18-36 | 20 |
| ესპანიოლი | 19 | 5 | 4 | 10 | 21-28 | 19 |
| ერკულესი | 20 | 5 | 3 | 12 | 19-35 | 18 |
| ლოგრონიესი | 20 | 5 | 3 | 12 | 15-44 | 18 |
| სევილია | 18 | 5 | 2 | 11 | 15-27 | 17 |
| სარაგოსა | 20 | 2 | 9 | 9 | 20-35 | 15 |
| ესტრემადურა | 20 | 2 | 6 | 12 | 12-35 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდო (ბარსელონა) | 15 |
| შუკერი (რეალი) | 14 |
| ხიგანდა (ბილბაო) | 11 |
| ოლი (ოვიედო) | 10 |
| ესნაიდერი (ატლეტიკო) | 9 |
| მიატოვიჩი (რეალი) | 9 |
| რაული (რეალი) | 9 |
| გერერო (ბილბაო) | 9 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 9 |



ატლეტიკო — რეალი. კამინეროს ბანუხი დახია

# ტროტა მიდიოდა, ომარი მოდიოდა...

## იტალია

XVII ტური

**უდინეზე 1:0 რომა**

15 000 მაყურებელი

უდინეზე: ტურჩი, ჰელვეგი, ბერტოტო (ნიკოლი 83), როსიტო, კალორი, პიერინი, ალ. ორლანდო, დჟიდერი, ამოროზო (კლემენტი 78), სტროპა (კაპიოლი 53), პოჯი

რომა: სტერჩელე, ანონი (პივოტო 46), ლანა, ტომაზი, პეტრუჩი, ალდაირი, კარბონი, დი ბიაჯო, ბალბო (სტატუტო 86), ტერნი, ტოტი (დელვეკიო 60)

გოლი: პოჯი (91)

გაფრთხილება: ალდაირი, ტოტი

გაძევება: ლანა (56)

**პარმა 1:0 ვერონა**

23 000 მაყურებელი

პარმა: ბუფონი, ზემარია, სენსინი, დ. ბაჯო, ტურამი, კანავარო, სტანიჩი, ბრავო, კრესპო, სტრადა, კიეზა

ვერონა: გუარდალბენი, ა.პაგანინი, ვანოლი, ბაჩი (მანიერო 80), ხივილია, ფატორი, ამეტრანო (ძანინი 71), კოლუჩი, დევიტისი, ჯუნტა, ორლანდინი

გოლი: სტანიჩი (67)

გაფრთხილება: ამეტრანო, ხივილია, ფატორი

**ფიორენტინა 1:1 სამპდორია**

35 000 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, პუშედუ, კოისი, ფალკონე, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა, ბატისტუტა, რუი კოშტა, ოლივეირა (მ.ორლანდო 74)

სამპდორია: ფერენი, ბალერი, პეზარეზი, ფრანჩესკეტი, მანინი, მიხაილოვიჩი, კარპარელი, ვერონი, მონტელა (იაკოპინო 46), მანჩინი, ლეილი

გოლი: ბატისტუტა (31პ), ბალერი (89)

გაფრთხილება: რუი კოშტა, მანინი, პეზარეზი

**კალიარი 1:1 მილანი**

23 000 მაყურებელი

კალიარი: აბატე, ბეტარინი, პანკარო, ბრესანი (ლონსტრუპი 70), ვილა, სკუკუჯა, თინქლერი, სანა, ტოვალიერი, ო ნილი (კოძა 93), სილვა

მილანი: ს. როსი, რაიციგერი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, ერანიო, ბობანი (ამბროზინი 83), დუგარი, სავიჩევიჩი (რ.ბაჯო 46), სიმონე (ბლომკვისტი 46)

გოლი: ტოვალიერი (44), დუგარი (66)

გაფრთხილება: ბეტარინი, სილვა, ერანიო, ალბერტინი, რაიციგერი

**ატალანტა 1:0 რეჯანა**

15 000 მაყურებელი

ატალანტა: პინატო, მირკოვიჩი, ბონაჩინა, ა. კარბონე, სოტილი (ფოლიო 86), კარერა, სგრო (პერსონი 91), გალო (ფორტუნატო 91), ინძაგი, მორფეო, ლენტინი

რეჯანა: ბალოტა, პაცი, სორდო, საბეუ, გალი, ბაიერსდორფერი, პარენტე (დე ნაპოლი 65), მაცოლა, სიმუტენკოვი, პაშეკუ, სკენარდი (კარი71)

გოლი: ინძაგი (39)

გაფრთხილება: გალო, კარბონე, ბალოტა, გალი, სკენარდი

**ვიჩენცა 2:2 ნაპოლი**

15 141 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, მენდესი, დიგნაციო, დი კარლო, სარტორი, ლოპესი, ბეგეტო (მ. როსი 46), ვივიანი, მურჯიტა, მაინი, ოტერო

ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, მილანეზე, ბოლოსიანი, კოლონეზე, აიალა (კრასონი 91), ტურინი, პეკია, კაჩა, კრუსი, ალიეტი

გოლი: მურჯიტა (12), ოტერო (31), ბოლოსიანი (38), პეკია (55)

გაფრთხილება: მაინი, პეკია,მილანეზე

**პერუჯა 1:1 პიაჩენცა**

16 000 მაყურებელი

პერუჯა: ბუჩი, გაუტიერი, დიკიარა, მატრეკანო, კოტინი, კასტელინი, გორეტი (გატუზო 79), ჯუნტი, ნეგრი, ალეგრი, რაპაიჩი (პიცი 76)

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, პარი, დი ფრანჩესკო, მ. კონტე, ლუჩი, ვალოტი, პინი (მორეტი 56), ლუიზო, შიენცა, ტენტონი (ვალტოლინა 91)

გოლი: ნეგრი (16), შიენცა (74)

გაფრთხილება: გორეტი, შიენცა, კონტე, პარი

**ინტერი 0:2 ბოლონია**

35 000 მაყურებელი

ინტერი: პალიუკა, პისტონე (განცი 67), ანგლომა, ძანეტი, მ.პაგანინი, გალანტე, სფორცა, ვინტერი (ბერტი 86), ბრანკა, ჯორკაეფი, სამორანო

ბოლონია: ანტონიოლი, მაგონი, პარამატი, მანგონე, ტორიზი, დემარკი (სენო 21), ნერვო (ბრეშანი 56), მაროკი (შალიმოვი 86), ანდერსონი, სკაპოლო, ფონტოლანი

გოლი: მაროკი (38), შალიმოვი (91)

გაფრთხილება: ანგლომა, პარამატი, მაგონი, ანდერსონი, სენო, ტორიზი

**ლაციო 0:2 იუვენტუსი**

60 000 მაყურებელი

ლაციო: ორსი, ნესტა (ნეგრო 60), ფიში, შამოტი, ფავალი (გრანდონი 46), ფუზერი, ბარონიო, ნედვედი, რამბაუდი (პროტი 60), კაზირაგი, სინიორი

იუვენტუსი: პერუცი, პორინი, ფერარა, მონტერო, პესოტო, ლომბარდო, ტაკინარდი (დი ლივიო 75), დეშამი, იუგოვიჩი, პადოვანო (ამორუზო 75), დელ პიერო (ჯულიანო 89)

გოლი: პადოვანო (30,62)

გაფრთხილება: შამოტი, მონტერო, დი ლივიო

ლიდერის, „იუვენტუსის" მატჩი რომში „ლაციოსთან" სალამოს ცხრის ნახევარზე დაიწყო. მანამდე კი სხვა თამაშები ისე დამთავრდა, რომ შებინდებისას ნათელი გახდა, „ბებერი ქალბატონი" ბურთისთვის ფეხის მიუკარებლად გახდა პირველი წრის ჩემპიონი.

მილანში, „სან სიროზე" „ინტერმა" „ბოლონიასთან" წააგო. სტუმართა წარმატებაში მთავარი როლი დაიდე ფონტოლანმა, ანდრეა სენომ და იგორ შალიმოვმა ითამაშეს, მოთამაშეებმა, რომლებიც თავის დროზე „ინტერმა" მოიშორა. თავიდან ფონტოლანმა ჩააწოდა საგოლე პასი ჯანკარლო მაროკის, შემდეგ, თამაშის ბოლოს კი 86-ე წუთზე შესულმა რუსმა ორი მცველი და მეკარე მოატყუა და მეორე შეაგდო.

— ამით ჩვენი ჩემპიონობის სურვილი არ განელებულა — განაცხადა მატჩის შემდეგ „ინტერის" ინგლისელმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა.

ჰოჯსონს ჟურნალისტებმა პოლ ინსის ამბავიც გამოკითხეს. მოგეხსენებათ, ინსი 30 დეკემბერს „რეჯანასთან" თამაშის დროს (1:1) მსაჯისა და თანამსაჯის გინებისთვის გააძევეს და ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, თუმცა ერთი კვირის წინ სასჯელი სამ მატჩამდე შეუმცირეს. ინგლისელი ნახევარმცველისთვის ეს გაძევება მიმდინარე სეზონში მესამე იყო, რამაც ააგორა ჭორი იმის თაობაზე, რომ მას იტალიის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება სურს.

— მე ვესაუბრე პოლს და მან მითხრა, რომ ინგლისიდან ჩამოსული ჭორები აღიზიანებს. მას აქ დარჩენა სურს. მეც განუწყვეტლივ ვკითხულობ, რომ „არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი ინსის დიდი თაყვანისმცემელია და მის გადაყვანაზე ოცნებობს, მაგრამ მინდა ყველამ იცოდეს, რომ ლონდონელებს ამის შესახებ არანაირი მოლაპარაკება არ დაუწყიათ, პოლს კი „ინტერთან" ახალი, თვრამეტთვიანი კონტრაქტი აკავშირებს. იმედი მაქვს, რომ ამ კონტრაქტს პოლი პატივს სცემს, რადგან იგი ნათელჰყოფს, რომ მე მას ისეთ ფეხბურთელად ვთვლი, რომელიც იტალიურ ფეხბურთს ერგება. ცხადია, იმის გარანტიას, რომ ინსი, მიუხედავად ყველაფრისა, მომავალ სეზონშიც „ინტერში" იქნება, მაინც ვერ მოგცემთ, რადგან ფეხბურთში რაიმე გარანტიის მიცემა არ შეიძლება — თქვა ჰოჯსონმა.

„სამპდორია" ფლორენციაში ჩავიდა და „ფიორენტინასთან" 1:1 ითამაშა. ამბიციური გენუელები ბოლოსწინა წუთზე გადაურჩნენ წაგებას. ფლორენციელთა აზრით ამაში სტუმრებს მსაჯი მიეხმარა, რომელმაც მარკო ფრანჩესკეტის აშკარა თამაშგარედან გატანილი გოლი ჩაუთვალა, მაგრამ ასეა თუ ისე, ამ გოლმა პირველ ტაიმში გაბრიელ ბატისტუტას მიერ გატანილი პენალტი (ისიც საეჭვო) გააწონასწორა და „სამპდორია" ლიდერისგან დიდ ჩამორჩენას გადაარჩინა. რაც შეეხება ბატისტუტას, მიუხედავად იმისა, რომ წინა ორი თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა, მან მაინც გაბედა პენალტის ნიშნულთან მისვლა და სეზონის მერვე გოლი შეაგდო.

„ვიჩენცამ" „ნაპოლის" უმასპინძლა, 2:0 დაწინაურდა კიდეც, მაგრამ ამდენივე გაუშვა და მარაგს მხოლოდ ერთი ქულა შემატა. ამ მატჩის დაწყების წინ, სტუმრებს ნეაპოლიდან ჩაყოლილი 50 გულშემატკივარი უბილეთოდ ლამობდა „მენტის" სტადიონზე შესვლას. ჯაჯგურსა და ჭყლეტაში ვიღაც საბრალო სტიუარდი დაშავდა კიდეც (მადლობა ღმერთს, მსუბუქად), მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ ფხა გამოიჩინა და ოცი აგრესორი დააკავა.




ფიორენტინა — სამპდორია. მასპინძელი ფალკონესი და გენუელი მანჩინის ორთაბრძოლა

„მილანის" მწვრთნელი არიგო საკი რობერტო ბაჯომ გადაარჩინა. კალიარელი სანდრო ტოვალიერის მიერ პირველი ტაიმის მიწურულს გატანილ გოლს საქმე ამ ქალაქში ბოლო 25 წლის მანძილზე მილანელთა პირველი მარცხისკენ მიჰყავდა, მაგრამ მსოფლიოს 1993 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ლამაზი დრიბლინგით გაიბრწყინა და ფრანგ კრისტოფ დუგარის საგოლე პასი მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ დუგარიმ ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინა თავი.

„მილანის" თავს კიდევ ერთი საინტერესო ამბავი ტრიალებს. კლუბის მეპატრონის, იტალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის სილვიო ბერლუსკონის რაღაც პოლიტიკური მექრთამეობის საქმის ჩხრეკისას, მოსამართლეებმა შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ მის ბევრ ვარსკვლავს ფული აქვს აღებული. კერძოდ, საქმე ეხება თავად კლუბის ხელმძღვანელობის მიერ საკუთარი მოთამაშეებისთვის ქრთამის მიცემას. სანაცვლოდ ვარსკვლავებმა შეფებს ნება დართეს თავიანთი სახელი და სახე სამარკეტინგო მიზნებით გამოეყენებინათ. ბოლო დღეებში ატეხილ ამ აყალმაყალს „მილანის" გენერალურმა მენეჯერმა ადრიანო გალიანიმ უპასუხა:

— საქმე ისაა, რომ „მილანი" ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, რაც გინდა მოხდეს. ასეთი ისტორია კი პრესისთვის მართლაც გემრიელი ლუკმაა. ისე კი, „მილანს" უკანონო ფული არასდროს არავისთვის გადაუხდია.

შაბათის იტალიური გაზეთები წერდნენ, რომ აღმოჩენილ საბუთებში მითითებულია ფეხბურთელთა გვარები (ოღონდ დაშიფრულად), რომელთა გასწორებაც თანხებია აღნიშნული. მიუხედავად შიფრისა, ამოტივტივდა შემდეგი სახელები: ფრანკო ბარეზი, პაოლო მალდინი, დეიან სავიჩევიჩი, ჟან-პიერ პაპენი, სტეფანო ერანიო, ჯანლუიჯი ლენტინი, რუუდ გულიტი, ფრენკ რაიკაარდი და მარკო ვან ბასტენი. გავრცელებული ცნობის თანახმად, მოთამაშეთა წინააღმდეგ ჯერ საქმე არ აღუძრავთ.

ესღა აკლდა ვეტერან ფრანკო ბარეზის, რომლისთვისაც კალიარიში ჩატარებული შეხვედრა სერია A-ში მეშვიდასე იყო. ბარეზიმ, რომელმაც პირველი მატჩი იტალიის უმაღლეს ეშელონში 1978 წლის 23 აპრილს „ვერონას" წინააღმდეგ ითამაშა („მილანმა" მოიგო 2:1), განაცხადა:

— ამ საქმის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან არაფერი ვიცი. მშვიდად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩემი შემოსავალი ყველასთვის ცნობილია და იგი პროფესიულ ლიგაშია დაფიქსირებული.

„მილანი" 19 თებერვალს „სან სიროზე" ამხანაგურ მატჩში შეხვდება ლონდონის „ჩელსის", რომელსაც მისი ყოფილი ვარსკვლავი რუუდ გულიტი წვრთნის. გულიტმა აღნიშნა, რომ ამ მატჩში მონაწილეობა მისი გუნდისთვის უთუოდ დიდი პატივია, თანაც გამოცდილების მიღების თვალსაზრისით იქნება უმნიშვნელოვანესი. მიუხედავად ძველი კლუბისადმი ასეთი პატივისცემისა, ჰოლანდიელი ვარსკვლავი გაოცებული დარჩა იტალიელთა პასუხით, როდესაც მან პაოლო მალდინის ყიდვაზე ჩამოუგდო სიტყვა.

— ვიცოდი, რომ მალდინის არ დათმობდნენ, მაგრამ ვინაიდან ფეხბურთელების გაყიდვის სურვილი გამოთქვეს, ჩემი რომ არ მეთქვა, თავს ვერ ვაპატიებდი — თქვა გულიტმა, რომელსაც მალდინიში არანორმალური თანხა მოთხოვეს.

„რომამ" 0:1 წააგო სტუმრად „უდინეზესთან". იტალიის დედაქალაქის გუნდში მომავალი ტურიდან ალბათ ითამაშებს ომარ თეთრაძე, რომელიც არგენტინელმა მწვრთნელმა კარლოს ბიანკიმ 1,6 მილიონ დოლარად ვლადიკავკაზის „ალანიასგან" იყიდა. თეთრაძე „რომას" არგენტინელი რობერტო ტროტას ნაცვლად სურს, რომელმაც სამშობლოსგან შორს ცხოვრებას ვეღარ გაუძლო და აწი, აქვსი თვით, „რივერ პლეიტისაა". „რომასვე" სურს ფრანგული „გინგამის" მცველის ვინსენ კანდელას შეძენა.

სალამოს ცხრის ნახევარზე კი რომის ოლიმპიურ სტადიონზე „ლაციომ" „იუვენტუსის" ზეწოლას ვერ გაუძლო და 0:2 წააგო. ორივე გოლი ალენ ბოკშიჩის ტრავმისას აწყვეტილმა მიკელე პადოვანომ გაიტანა.

**ბაჰუნა კედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 17 | 9 | 6 | 3 | 23-12 | 33 |
| სამპდორია | 17 | 8 | 5 | 4 | 32-21 | 29 |
| ინტერი | 17 | 7 | 7 | 3 | 25-20 | 28 |
| ვიჩენცა | 17 | 7 | 6 | 4 | 27-18 | 27 |
| პარმა | 17 | 7 | 6 | 4 | 17-14 | 27 |
| ფიორენტინა | 17 | 6 | 8 | 3 | 25-17 | 26 |
| მილანი | 17 | 7 | 4 | 6 | 24-20 | 25 |
| ბოლონია | 17 | 7 | 4 | 6 | 24-21 | 25 |
| ატალანტა | 17 | 6 | 6 | 5 | 20-21 | 24 |
| ნაპოლი | 17 | 6 | 6 | 5 | 21-24 | 24 |
| რომა | 17 | 6 | 5 | 6 | 26-23 | 23 |
| ლაციო | 17 | 6 | 5 | 6 | 18-16 | 23 |
| უდინეზე | 17 | 6 | 4 | 7 | 24-25 | 22 |
| პიაჩენცა | 17 | 4 | 7 | 6 | 16-23 | 19 |
| პერუჯა | 17 | 5 | 3 | 9 | 21-31 | 18 |
| კალიარი | 17 | 3 | 6 | 8 | 19-28 | 15 |
| ვერონა | 17 | 2 | 5 | 10 | 17-31 | 11 |
| რეჯანა | 17 | 1 | 7 | 9 | 14-28 | 10 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ინძაგი (ატალანტა) | 12 |
| ბალბო (რომა) | 11 |
| მონტელა (სამპდორია) | 11 |
| მანჩინი (სამპდორია) | 10 |
| ოტერო (ვიჩენცა) | 10 |
| ლუიზო (პიაჩენცა) | 8 |
| ჯორკაეფი (ინტერი) | 8 |
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 8 |
| ვეა (მილანი) | 7 |
| სინიორი (ლაციო) | 7 |

**სერია B**

მე-18 ტური: ბარი — ფოჯა 1:2, ბრეშია — რეჯანა 1:0, ჩეზენა — ემპოლი 2:1, კიევო — პალერმო 2:2, კოზენცა — პადოვა 3:1, კრემონეზე — ლუკეზე 2:1, ჯენოა — რავენა 3:0, პესკარა — დი სანგრო 1:1, სალერნიტანა — ვიჩენცა 1:0, ტორინო — ლეჩე 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 18 | 10 | 5 | 3 | 31-22 | 35 |
| ტორინო | 18 | 9 | 4 | 5 | 27-20 | 31 |
| ბრეშია | 18 | 8 | 7 | 3 | 21-15 | 31 |
| რავენა | 18 | 8 | 6 | 4 | 23-19 | 30 |
| პესკარა | 18 | 7 | 7 | 4 | 23-16 | 28 |
| ბარი | 18 | 5 | 11 | 2 | 24-15 | 26 |
| ემპოლი | 18 | 7 | 5 | 6 | 20-20 | 26 |
| ჯენოა | 18 | 5 | 9 | 4 | 24-15 | 24 |
| პადოვა | 18 | 5 | 9 | 4 | 20-21 | 24 |
| ფოჯა | 18 | 6 | 5 | 7 | 19-24 | 23 |
| ლუკეზე | 18 | 4 | 9 | 5 | 15-15 | 21 |
| კიევო | 18 | 4 | 9 | 5 | 19-20 | 21 |
| კოზენცა | 18 | 5 | 6 | 7 | 21-25 | 21 |
| სალერნიტანა | 18 | 5 | 6 | 7 | 10-16 | 21 |
| პალერმო | 18 | 3 | 10 | 5 | 18-22 | 19 |
| დი სანგრო | 18 | 5 | 4 | 9 | 9-19 | 19 |
| ვენეცია | 18 | 4 | 6 | 8 | 20-23 | 18 |
| ჩეზენა | 18 | 3 | 9 | 6 | 14-17 | 18 |
| რეჯიონა | 18 | 3 | 8 | 7 | 15-22 | 17 |
| კრემონეზე | 18 | 4 | 5 | 9 | 12-19 | 17 |

## პორტუგალია

მე-16 ტური: პორტუ — ბრაგა 5:0, გიმარაეში — ბენფიკა 1:0, ესპინიუ — სალგეირუში 1:1, ფარენსე — შავეში 0:2, რიუ ავე — ლეირია 3:1, ლეცა — ჟილ ვისენტე 1:1, მარიტიმუ — სეტუბალი 3:2, ბოავიშტა — ამადორა 2:2, ბელენენსეში — სპორტინგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 16 | 14 | 2 | 0 | 38-7 | 44 |
| ბენფიკა | 16 | 10 | 3 | 3 | 30-9 | 33 |
| სპორტინგი | 16 | 9 | 4 | 3 | 22-9 | 31 |
| ესპინიუ | 16 | 8 | 3 | 5 | 19-18 | 27 |
| ბრაგა | 16 | 7 | 5 | 4 | 21-24 | 26 |
| ამადორა | 16 | 6 | 5 | 5 | 19-16 | 23 |
| სეტუბალი | 16 | 5 | 7 | 4 | 21-19 | 22 |
| გიმარაეში | 16 | 6 | 3 | 7 | 22-23 | 21 |
| ფარენსე | 16 | 5 | 6 | 5 | 13-14 | 21 |
| მარიტიმუ | 16 | 5 | 5 | 6 | 19-24 | 20 |
| ბოავიშტა | 16 | 4 | 7 | 5 | 23-21 | 19 |
| ლეცა | 16 | 5 | 4 | 7 | 19-21 | 19 |
| სალგეირუში | 16 | 4 | 7 | 5 | 20-23 | 19 |
| ბელენენსეში | 16 | 4 | 5 | 7 | 20-30 | 17 |
| ლეირია | 16 | 3 | 3 | 10 | 10-26 | 12 |
| ჟილ ვისენტე | 16 | 2 | 3 | 11 | 16-30 | 9 |
| რიუ ავე | 16 | 1 | 3 | 12 | 14-29 | 6 |

## შოტლანდია

24-ე ტური. სელტიკი — ჰიბერნიანი 4:1, ჰარტსი — დანდი იუნაიტედი 1:2, კილმარნოკი — დანფერმლაინი 2:1, მოზერველი — რეინჯერსი 1:3, რეით როვერსი — აბერდინი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 19 | 3 | 2 | 63:21 | 60 |
| სელტიკი | 23 | 16 | 3 | 4 | 60:24 | 51 |
| დანდი იუნ. | 24 | 11 | 6 | 7 | 33:21 | 39 |
| ჰარტსი | 24 | 9 | 6 | 9 | 35:35 | 33 |
| აბერდინი | 24 | 8 | 7 | 9 | 34:38 | 31 |
| დანფერმლაინი | 23 | 8 | 5 | 10 | 35:46 | 29 |
| კილმარნოკი | 23 | 7 | 3 | 13 | 28:44 | 24 |
| ჰიბერნიანი | 24 | 6 | 5 | 13 | 25:42 | 23 |
| მოზერველი | 23 | 5 | 6 | 12 | 23:42 | 21 |
| რეით როვერსი | 24 | 5 | 4 | 15 | 20:43 | 19 |

## თურქეთი

18-ე ტური. გაზიანთეფი — ქოჯაელი 1:1, დენიზლი — სარიერი 0:1, ანთალია — ისთანბული 2:1, ზეითუნბურნუ — ანკარაგიუჯიუ 1:1, ბეშიქთაში — ბურსა 2:2, ალთაი — ტრაბზონი 2:3, დარდანელი — გენჩლერბირლიგი 1:3, სამსუნი — ფენერბაჰჩე 1:1, გალათასარაი — ვანი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 18 | 14 | 3 | 1 | 51:16 | 45 |
| ტრაბზონი | 18 | 13 | 2 | 3 | 34:17 | 41 |
| ფენერბაჰჩე | 18 | 12 | 4 | 2 | 37:11 | 40 |
| ბეშიქთაში | 18 | 11 | 5 | 2 | 45:14 | 38 |
| გაზიანთეფი | 18 | 9 | 6 | 3 | 21:15 | 33 |
| ბურსა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:18 | 31 |
| ქოჯაელი | 18 | 8 | 4 | 6 | 22:19 | 28 |
| სარიერი | 18 | 7 | 3 | 8 | 27:25 | 24 |
| გენჩლერბირ. | 18 | 7 | 3 | 8 | 18:21 | 24 |
| სამსუნი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:28 | 23 |
| ისთანბული | 18 | 6 | 4 | 8 | 22:25 | 22 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 6 | 3 | 9 | 21:28 | 21 |
| ანთალია | 18 | 5 | 5 | 8 | 22:26 | 20 |
| ალთაი | 18 | 5 | 4 | 9 | 18:36 | 19 |
| ვანი | 18 | 3 | 4 | 11 | 14:31 | 13 |
| დარდანელი | 18 | 3 | 4 | 11 | 13:36 | 13 |
| დენიზლი | 18 | 3 | 2 | 13 | 18:35 | 11 |
| ზეითუნბურნუ | 18 | 1 | 3 | 14 | 14:46 | 6 |

## ბელგია

19-ე ტური. აალსტი — სერკლ ბრიუგე 4:2, ეკერენი — ჰარელბეკე 1:3, ბრიუგე — ლიერსი 2:4, სტანდარდი — გენკი 0:2, ლოკერენი — მუსკრონი 0:2, მეხელენი — ანტვერპენი 0:0, შარლერუა — გენტი 1:0, მოლენბეკი — სენტ-ტრიუდენი 2:1, ლომელი — ანდერლეხტი გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მუსკრონი | 19 | 12 | 5 | 2 | 36:16 | 41 |
| ბრიუგე | 19 | 11 | 4 | 4 | 38:23 | 37 |
| ლიერსი | 19 | 10 | 7 | 2 | 33:19 | 37 |
| ჰარელბეკე | 19 | 11 | 3 | 5 | 35:21 | 36 |
| სტანდარდი | 19 | 11 | 0 | 8 | 32:24 | 33 |
| ანტვერპენი | 19 | 10 | 2 | 7 | 32:30 | 32 |
| ანდერლეხტი | 18 | 8 | 7 | 3 | 29:13 | 31 |
| ლომელი | 18 | 8 | 5 | 5 | 28:28 | 29 |
| მოლენბეკი | 19 | 7 | 4 | 8 | 21:24 | 25 |
| გენტი | 19 | 7 | 3 | 9 | 30:36 | 24 |
| ლოკერენი | 19 | 6 | 5 | 8 | 27:30 | 23 |
| გენკი | 19 | 5 | 8 | 6 | 21:24 | 23 |
| შარლერუა | 19 | 6 | 3 | 10 | 25:29 | 21 |
| მეხელენი | 19 | 4 | 7 | 8 | 18:27 | 19 |
| აალსტი | 19 | 3 | 8 | 8 | 25:36 | 17 |
| ეკერენი | 19 | 4 | 4 | 11 | 22:34 | 16 |
| სტ.ტრიუდენი | 19 | 3 | 6 | 10 | 25:39 | 15 |
| სერკლ ბრიუგე | 19 | 1 | 5 | 13 | 19:43 | 8 |

ვიყიდი

შეღავათიან ფასებში ტყუპების ჩასაჯდომ ნაზმარ ეტლს მუშა მდგომარეობაში.

ტელ. 22-47-66

## ინგლისი

### XXIII ტური

# „ლესტერმა" გიჟები გააჩერა

### არსენალი 3:1 ევერტონი

**არსენალი: სიმენი, ვინთერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, პარლოუ, პლატი (მიუზი 62), რაიტი (დიქსონი 46), მერსონი, ბერხკამპი, კიოუნი**
**ევერტონი: საუთჰოლი, ბარეტი, ანსუორსი, უოტსონი, ფელანი, სტიუარტი, ფერგიუსონი, სპიდი, ბარმბი, ტომსენი, კანჩელსკისი (ბრენჩი 62)**
**გოლი: ბერხკამპი (55), ვიეირა (57), მერსონი (69), ფერგიუსონი (90)**

სტუმრებმა ზედიზედ მეხუთე მარცხი იწვნიეს. პირველ ტაიმში სახიფათო მომენტები უხვად იქმნებოდა, ამას ნიკ ბარმბის გოლიც მოჰყვა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა. ერთ წუთში სიმენმა იმარჯვა და ფერგიუსონის დარტყმული აილო. შემდეგ გააქტიურებულმა მასპინძლებმა იძალეს, მერსონმა ზედიზედ ორჯერ შეაწუხა საუთჰოლი, ამ ტაიმში კი ანგარიში მაინც არ გაიხსნა. მეორე ნახევარში რაიტის ნაცვლად შესულმა დიქსონმა პირდაპირ ფეხზე დაუსვა ბურთი ბერხკამპს და ამასაც გატანა არ გასჭირვებია. ორ წუთში ვინთერბერნმა ჩააწოდა კუთხური და ფრანგმა პატრიკ ვიეირამ მეორედ გაამწარა საუთჰოლი. 63-ე წუთზე ბერხკამპი კარგად გაცდა ანსუორსს, მაგრამ მეკარესთან მარტოდ დარჩენილმა ვერ იმარჯვა. მალე დენისის ძლიერად დარტყმული მოიგერია საუთჰოლმა, ბურთი მიუგორდა მერსონს, რომელმაც სხვაობა გაზარდა. მანამდე დაშავდა ნაკრების წევრი დევიდ პლატი. ექიმების თქმით, იგი ვერ ითამაშებს 12 თებერვლის ინგლის — იტალიის მატჩში. ლონდონელთა კაპიტანმა ტონი ადამსმა „ევერტონთან" მეხუთასედ ჩაიცვა „არსენალის" მაისური. ლივერპულელთა მწვრთნელმა ჯო როილმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „მსაჯი არასწორად მოიქცა, ბარმბის გოლი რომ არ ჩათვალა. მეორე ნახევარში ორ წუთში ორი გოლი მივიღეთ და თამაშიც დამთავრდა".

### ჩელსი 3:1 დერბი

**ჩელსი: მიჩკოკი, პეტრესკუ, ლებეფი, მეიერსი, მ. მიუზი, უაიზი (პ. მიუზი 46), ბარლი (იონსენი 62), დიმატეო, სინკლერი, ნიუტონი, ძოლა**
**დერბი: ჰოლტი, როუეტი, ს. პაუელი, დ. პაუელი, სტარიჯი, ასანოვიჩი, უორდი (ვილემსი 23), ლაურსენი, კარბონი (დეილი 63), კარსლი, მაკგრათი**
**გოლი: ასანოვიჩი (25), უაიზი (36), ლებეფი (44 პ), პ. მიუზი (85)**
**გაძევება: დეილი (83)**

„ჩელსი" ლონდონის პირველი კლუბია, რომელმაც ამ სეზონში „დერბი" დაამარცხა. კვლავ არ უთამაშია ჯანლუკა ვიალის. დასაწყისში მასპინძლებმა მეტოქე შებოჭეს, თუმცა, ანგარიში ვერ გახსნეს. პირიქით კი მოხდა: ხორვატმა ასანოვიჩმა 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით დალაშქრა ჰიჩკოკის კარი. ამას „ჩელსის" ორი სახიფათო შეტევა მოჰყვა, მაგრამ ჯერ ბარლიმ ვერ ივარგა, შემდეგ კი სინკლერმა ააცილა მცირედით. ის, რომ „ჩელსი" გაიტანდა, დროის ამბავი იყო და მართლაც, მალე ძოლას დარტყმულს და ჰოლტის მოგერიებულს იქვე მყოფმა უაიზმა შედეგიანად დაამატა. ტაიმის მიწურულს მარკ ჰიუზი წააქციეს და არბიტრმა პენალტი დანიშნა — ლებეფმა ხელიდან არ გაუშვა შანსი. მეორე ტაიმის პირველ ხუთ წუთში მასპინძლებს ორი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ ჰოლტმა იმარჯვა და ძოლას, ორ წუთში კი დი მატეოს თაური აილო. 58-ე წუთზე ასანოვიჩმა პირველ ტაიმში გატანილი გოლის ტყუპისცალი ჯარიმა დაარტყა, ჰიჩკოკმა შეცდომა ამჯერად აღარ გაიმეორა და ბურთს ადგილზე დახვდა. მალე „დერბიმ" ფეხბურთელიც მოისაკლისა: 63-ეზე შესულმა დეილიმ 20 წუთში ორი გაფრთხილება აიკიდა და მოედანი დაატოვებინეს. კაცნაკლულმა „დერბიმ" მხოლოდ ორი წუთი გაძლო, დებიუტანტ პოლ ჰიუზის მესამე გოლამდე.

### ქოვენთრი 0:2 მანჩესტერი

**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, უილამსი, ბაროუზი, რიჩარდსონი, ჯესი (ბოლი 80), მაკალისტერი, სალაკო, ტელფერი, ჰილანი, ჰაკერბი**
**იუნაიტედი: შმაიხელი, ნევილი, ირვინი, პალისტერი, იონსენი (კასპერი 63), გიგზი, პობორსკი, კინი, სქოულზი, კანტონა, სოლსკიაერი**
**გოლი: გიგზი (60), სოლსკიაერი (79)**

მანჩესტერელებმა ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს სტუმრად. სტუმართაგან არ თამაშობდა დაშავებული დევიდ ბექემი. მის არყოფნაში გაილაღა უელსელმა რაიან გიგზმა, ვინც ამ შეხვედრაში „იუნაიტედის" ლიდერობა იკისრა. პირველ ტაიმში სტუმრებს სამჯერ შეეძლოთ დაწინაურება: მე-20 წუთზე სქოულზის უძლიერესი დარტყმა მოხვდა ხარიხას, 27-ზე კი ოგრიზოვიჩმა ჯერ სოლსკიაერს არ გაატანინა, ათ წუთში კი კანტონას ბურთი აილო. გოლის გატანას ერთი საათი დასჭირდა — გიგზმა ჩინებული ფინტებით მოატყუა მცველები და მეკარისაგან შორეულ კუთხეში გაიტანა. ეს მისი პირველი გოლი იყო ბოლო ოთხ თვეში. ცამეტ წუთში გიგზს კიდევ შეეძლო შეგდება, მაგრამ სოლსკიაერის პასით ვერ იხეირა, სამაგიეროდ, სკანდინაველმა გიგზი-კანტონას კომბინაცია დაასრულა შედეგიანად. მასპინძლებმა მეორე ტაიმში ერთი შეტევაც კი ვერ განახორციელეს, თავიანთ ნახევარს ვერ გასცდნენ. 85-ე წუთზე სოლსკიაერმა პობორსკის პასი ვერ გამოიყენა და „ქოვენთრიც" დიდი ანგარიშით მარცხს გადაურჩა. მანჩესტერელებმა ქოვენთრიში ბოლო ხუთ სეზონში მეხუთედ გაიმარჯვეს, „ქოვენთრის" კი, აგერ, ორი თამაშია, გოლიც ვერ გაუტანია.

### ლივერპული 3:0 ასტონ ვილა

**ლივერპული: ჯეიმსი, კვარმე, მაკატირი, რაიტი, მატეო, ბიორნებიუ, რედნეპი, კარაგერი, მაკმანამანი, ფაულერი, კოლიმორი (კენედი 75)**
**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, საუთგეიტი, თაუნსენდი, მილოშევიჩი, იორკი, ჯონსონი, რაიტი, ეჰიოგუ, ტილერი, შიმეცა, ჩურჩიჩი**
**გოლი: კარაგერი (50), კოლიმორი (58), ფაულერი (63)**

მასპინძლებს უეჭველად უნდა მოეგოთ, პრემიერლიგის ლიდერობა რომ არ გაეშვათ ხელიდან. „ლივერპულს" პირველ ნახევარში გაუჭირდა, მეორეში კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. კარაგერის გოლამდე წითლებს 200 წუთი ვერ გაეტანათ და 18 წლის დებიუტანტმა ეს უშედეგო სერია შეწყვიტა — კარგად გამოიყენა მაკმანამანის გადაცემა და ბურთს ბოზნიჩის მარჯვნივ მიუჩინა ადგილი. ერთი წუთით ადრე კარაგერი თაუნსენდთან უხეში თამაშის გამო გააფრთხილეს. მისი გოლით დაიწყო „ასტონ ვილასთვის" კოშმარული 13 წუთი, რომლის განმავლობაშიც ბირმინგემელთა დაცვა სრულიად განადგურდა. 1:0-ის შემდეგ ფაულერმა ათი მეტრიდან ვერ გაიტანა, შემდეგ ბიორნებიუს თაური აცდა მცირედით კარს, თუმცა, კოლიმორმა გარღვევა მაინც დაასრულა გოლით. ორ წუთში მისივე ძლიერად დარტყმულს ბოზნიჩი ადგილზე დახვდა. სამი წუთის შემდეგ ავსტრალიელმა ხორვატმა რედნეპის შორეული დარტყმაც მოიგერია, მაგრამ ფაულერის დამატებულთან ველარაფერს გახდა. ბირმინგემელთაგან დუაიტ იორკი აქტიურობდა, რომელმაც გოლის გატანის ორი ჩინებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

### ლესტერი 1:0 უიმბლდონი

**ლესტერი: კელერი, გრეისონი, კამარკი, ელიოტი, პრაიორი, მარშალი, იზეტი, ლენონი, პარკერი, კლარიჯი, ჰესკი**
**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ჯოუნზი, ბლექველი, ლეონარდსენი (პერფორდი 82), ერლი, ეკოკუ, გეილი, პერი, მაკალისტერი, ერდლი (გუდმენი 77)**
**გოლი: ჰესკი (73)**

18 წლის ემილ ჰესკიმ ბოლო სამ თვეში პირველად გაამარჯვებინა „ლესტერს". მასპინძელთაგან დებიუტი ჰქონდა „ოქსფორდიდან" 1,6 მილიონ გირვანქად გადმოსულ მეტ ელიოტს. პირველ ტაიმში „უიმბლდონი" უფრო აწუხებდა მეტოქეს, მაგრამ მის შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. მეორე ტაიმის პირველ ხუთ წუთში „ლესტერმა" ორჯერ ვერ ივარგა: ჯერ იყო და, პარკერმა ააცილა სალივანის კარს, შემდეგ კი პრაიორმა პირდაპირ ხელებში მისცა ბურთი მეკარეს. 63-ე წუთზე მასპინძლებმა ჰესკის წაქცევისთვის ჯოუნზის თერთმეტმეტრიანით დაჯარიმება მოითხოვეს, მაგრამ მსაჯმა ყურადღაც არ იღო ლესტერელთა თხოვნა. ჰესკის გაცხარება „უიმბლდონს" გოლად დაუჯდა: ნილ ლენონმა ჩინებული პასით მოძებნა ჰესკი და მანაც გადამწყვეტი ბურთის შეგდება არ დააზანა. ბოლო წუთზე „ლესტერმა" კინაღამ დაკარგა ორი ქულა, მაგრამ გადარჩა — შეცვლაზე შესულმა ჰერფორდმა ბურთი ახლო მანძილიდან გადააცილა ზედა ძელს.



კანტონა ქოვენთრელ უილიამსსა და მაკალისტერს გაურბის

### მიდლსბრო 4:2 შეფილდი

**მიდლსბრო: რობერტსი, უაიტი, ვიკერსი, ემერსონი, მასტო, ბექი (ფიორტოფტი 85), ჟუნინიო, რავანელი, მური, ფლემინგი, ფესტა**
**შეფილდი: პრესმენი, ატერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოქერი, ვითინგემი (ჰერსტი 77), ბუთი, ჰაიდი, ნიკოლი (ბლინკერი 46), სტეფანოვიჩი, ჰამფრიზი (კოლინზი 63)**
**გოლი: რავანელი (14 პ), ფესტა (23), პემბრიჯი (29, 80), ემერსონი (72 პ), ჟუნინიო (90)**
**გაძევება: რავანელი (70)**

შეხვედრა მეტად უხეში იყო. ამ მხრივ უფრო „მიდლსბრო" გამოირჩეოდა, რომელსაც ქულები ესაჭიროება და ყველანაირი საშუალებით ცდილობს მათ მოპოვებას. მატჩი „მიდლსბროსთვის" კარგად დაიწყო. რავანელიმ პენალტით თავისი მე-19 ინგლისური გოლი შეაგდო. პენალტი კი სტეფანოვიჩის ხელით თამაშის გამო დაინიშნა. მალე რავანელიმ მშვენიერი მომენტი გააცუდა, თუმცა მეორე გოლიც იქვე გავიდა: ჟუნინიომ კუთხური ჩააწოდა, ბექმა თავით ფესტას დაუგდო და ამანაც იყოჩაღა. მასპინძელთა გოლს პემბრიჯმა უპასუხა: ძლიერი დარტყმით მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა დებიუტანტ რობერტსს და სხვაობა მინიმალური გახდა. 56-ე წუთზე პრესმენმა ემერსონის საუცხოოდ დარტყმული ხარიხას ზემოთ გადააგდო, ათ წუთში კი ბექი-მური-რავანელის კომბინაცია ჩაიშალა. ამის მერე დიდი ხანი არ გასულა, რომ ფაბრიციომ, სულ ორი წუთის ინტერვალში, ორი ყვითელი მიიღო და მოედანიც დატოვა. მალე დანიელი ბექის სოლო-რეიდი პრესმენმა აკრძალული ხერხით შეაჩერა და პენალტმაც არ დააყოვნა. პენალტი ბრაზილიელმა ემერსონმა შეაგდო. მატჩის დამთავრებამდე წამებილა რჩებოდა, ჟუნინიომ თავისი გარღვევა მეოთხე გოლით რომ დაასრულა. მატჩის შემდეგ „მიდლსბროს" მწვრთნელი ბრაიან რობსონი გახარებული იყო. „შეხვედრის წინ ბიჭებს ვუთხარი, უკან გზა მოჭრილი გვაქვს და აბა თქვენ იცით-მეთქი". ეტყობა, ამან მათზე ძლიერ იმოქმედა და აჰა, მოვიგეთ კიდეც".

### ნოტინგემი 2:1 ტოტენჰემი

**ნოტინგემი: კროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ბარტ-უილიამსი, ფილიპსი (ჯემილი 46), უოენი, ჰაალანდი, როი (ლი 87), კლაფი**
**ტოტენჰემი: უოქერი, ედინბურგი, პოუელსი (ნეზერკოტი 85), კალდერვუდი, ნილსენი, ივერსენი, კემპბელი, ვეგა, კარი, სინტონი (როზენტალი 64), ალენი (უილსონი 45)**
**გოლი: სინტონი (2), როი (47, 62)**
**გაძევება: ვეგა (45)**

სტუარტ პირსის ხელმძღვანელობით „ნოტინგემი" აშკარად ძლიერად ათამაშდა და სახიფათო ზონასაც დააღწია თავი. მატჩი მასპინძელთათვის არასასურველად დაიწყო. 75-ე წამზე სოლ კემპბელის პასი სინტონმა გოლად აქცია — კროსლის თავზე გადაუგდო ბურთი. ამან „ნოტინგემი" დააბნია, მაგრამ დაცვა მალე გამოფხიზლდა და მასპინძლებმაც შეტევებს მოუხშირეს, განსაკუთრებით, ვეგას გაძევების შემდეგ გააქტიურდნენ. შვეიცარიელი კუპერთან კინკლაობისთვის მიაბრძანეს მოედნიდან. მეორე ტაიმის 70-ე წამი (!) იყო, ბრაიან როი ელვისებურად რომ შეიჭრა ლონდონელთა საჯარიმოში და გააყაიმა. ეს როის პირველი გოლი იყო ბოლო ოთხ თვეში. 50-ე წუთზე კლაფმა თაურით ააცილა, ერთ წუთში კი როის დარტყმული უოქერმა მოიგერია. შეტევებში გართულ მასპინძლებს სინტონის გარღვევა გამოეპარათ და კინაღამ დაისაჯნენ, მაგრამ ფორვარდს კროსლი გაბედულად ჩაუვარდა ფეხებში და მდგომარეობა განმუხტა. ვერ გაიტან, თავად გაგიტანენ — და, როიმაც ცარიელ კარში შეაგორა ბურთი. ბოლო ხუთ წუთში კროსლიმ კალდერვუდის და კემპბელის ორი უძლიერესი დარტყმა აილო.

### სანდერლენდი 0:0 ბლექბერნი

**სანდერლენდი: პერესი, ჰალი, კუბიჩკი, მელვილი, ორდი, კელი, უილიამსი, ბრაისველი, გრეი, მულინი, სმიტი (რასელი 80)**
**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, სატონი, ბოჰინენი, უილკოქსი, ფლიტკროფტი, ბერგი**

შეხვედრა მეტად უფერული იყო. მეტოქეები უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. პირველი სახიფათო მომენტი 32-ე წუთზე შეიქმნა: მასპინძელთა ნახევარმცველი დევიდ კელი საჯარიმოში შევიდა, კენა მოატყუა და დაარტყა, მაგრამ ფლაუერსს ბურთის დაჭერა არ გასჭირვებია. ოთხ წუთში კელიმ საჯარიმოც დაარტყა, მაგრამ საკმაო მანძილით ააცილა „ბლექბერნის" კარს. 39-ე წუთზე კევინ გალაჰერმა პერესს თავზე გადაუგდო ბურთი, თუმცა, კარებსაც გვერანად გადააცილა. ტაიმის ბოლო წუთზე „სანდერლენდის" ბოლო შეტევა კინაღამ გოლით დასრულდა: ორდმა [illegible] ღვევა განახორციელა, მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდა, ფლაუერსი გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ მულინმა კარგად ველარ დაამატა. მეორე ტაიმი არაფრით განსხვავდებოდა პირველისაგან. მე-60 წუთზე ფლაუერსმა ორდი-მულინის კომბინაცია ჩაშალა — ამჯერად გამოსვლაზე აღარ შემცდარა. 73-ეზე მასპინძლებმა დაწინაურების ბოლო შანსი გაუშვეს ხელიდან — ფლაუერსმა ჩინებული ნახტომით მოიგერია. ამის შემდეგ სახიფათო მომენტი ორივე კართან ერთადერთხელ შეიქმნა, როცა ბერგმა ათი მეტრიდან ათი სანტიმეტრით ააცილა პერესის კარს.

### საუთჰემპტონი 2:2 ნიუკასლი

**საუთჰემპტონი: ტეილორი, დრაიდენი, მედისონი, ვან გობელი, მონკუ, ოუკლი, მეჯილტონი (მიუზი 54), რობინსონი (ჩარლტონი 46), ლე ტისიე, ბერკოვიჩი (ბაშამი 72), ოსტენსტადი**
**ნიუკასლი: ჰისლოპი, ბარტონი, ბერესფორდი, ბეტი, პიკოკი, ელიოტი, გილესპი (ლი 76), კლარკი, შირერი, ბერდსლი, ფერდინანდი**
**გოლი: ფერდინანდი (14), კლარკი (82), მედისონი (88), ლე ტისიე (89)**

„ნიუკასლმა" პირველი შეხვედრა ჩაატარა ახალი მწვრთნელის, კენი დალგლიშის ხელმძღვანელობით. სტუმართა გამარჯვებას აღარაფერი აკლდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც კლარკმა ზედიზედ მესამე მატჩში გაიტანა გოლი, მაგრამ კაცი ბჭობდაო და, „საუთჰემპტონმაც" ორი ქულა დააკარგვინა ნიუკასლელებს.

„ნიუკასლი" მატჩის დასაწყისში ეკვეთა მასპინძელს, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა — თუმცა მალე სტუმართა მცდელობამ შედეგი გამოიღო: დრაიდენს ფერდინანდმა შეცდომა არ აპატია და სეზონში მე-15 გოლი შეაგდო. ათ წუთში ტეილორმა თითქმის ფეხიდან აართვა ბურთი შირერს. მერე ჰისლოპის ჯერი დადგა: მან ჯერ ბერკოვიჩის საჯარიმო დარტყმა აილო, შემდეგ კი მეჯილტონის თაური მოიგერია. 25-ე წუთზე „ნიუკასლს" მეორე გოლის გატანა შეეძლო: შირერმა კარგად გაუთამაშა ფერდინანდს, მაგრამ მან, ტეილორთან პირისპირ გასულმა, ააცილა. მეორე ტაიმში კი უკვე „საუთჰემპტონმა" გაუშვა ხელიდან გაყაიმების რეალური შანსი, როცა ლე ტისიემ მეკარის დასარტყმელად ჩამოსული მცველის გაბითურებაც მოინდომა, მაგრამ ამაოდ. ტაიმის ბოლო ორმა წუთმა კი შოკში ჩააგდო მთელი „ნიუკასლი". ჯერ მედისონმა არ აპატია სულელური შეცდომა ჰისლოპს და სხვაობა შეამცირა, [illegible] წამში კი [illegible] ტისიემ მეორედ [illegible] ჩალა და [illegible] ლგლიშს [illegible] მატჩში გამარჯვება გამოსტაცა.

**ლაშა ბოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 24 | 13 | 7 | 4 | 41-20 | 46 |
| მანჩესტერი | 23 | 12 | 8 | 3 | 46-26 | 44 |
| არსენალი | 23 | 12 | 7 | 4 | 41-22 | 43 |
| ნიუკასლი | 23 | 11 | 6 | 6 | 42-26 | 39 |
| უიმბლდონი | 21 | 11 | 5 | 5 | 34-25 | 38 |
| ჩელსი | 23 | 10 | 8 | 5 | 36-32 | 38 |
| ასტონ ვილა | 23 | 10 | 6 | 7 | 31-24 | 36 |
| შეფილდი | 22 | 7 | 10 | 5 | 25-27 | 31 |
| ევერტონი | 23 | 7 | 7 | 9 | 31-34 | 28 |
| ტოტენჰემი | 22 | 8 | 4 | 10 | 24-30 | 28 |
| სანდერლენდი | 23 | 7 | 7 | 9 | 22-30 | 28 |
| ლესტერი | 22 | 7 | 5 | 10 | 21-30 | 26 |
| ლიდსი | 22 | 7 | 4 | 11 | 19-27 | 25 |
| ბლექბერნი | 22 | 5 | 9 | 8 | 23-22 | 24 |
| დერბი ქაუნთი | 22 | 5 | 9 | 8 | 22-29 | 24 |
| ქოვენთრი | 23 | 5 | 8 | 10 | 22-33 | 23 |
| ნოტინგემი | 23 | 5 | 8 | 10 | 23-37 | 23 |
| ვესტ ჰემი | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| საუთჰემპტონი | 22 | 5 | 5 | 12 | 31-38 | 20 |
| მიდლსბრო | 23 | 5 | 6 | 12 | 28-43 | 18 |

## პირველი დივიზიონი

### ჰადერსფილდი 1:1 სიტი

**სიტი: რაიტი, მაკგოლდრიკი, ინგრემი, ლომასი, საიმონსი, ბრაიტველი, სამერბი, კრუქსი (უაიტლი 80), ჰინი, ქინქლაძე, როსლერი**
**გოლი: ლომასი (43), ლაუსონი (78)**
**გაფრთხილება: სამერბი**

„სიტიმ" ახალი მწვრთნელის ფრენკ კლარკის თავკაცობით მეორე მატჩი ითამაშა ფრედ. უნდა ითქვას, რომ „სიტი" ორივე შეხვედრას იგებდა. ჩემპიონატში გიოს გუნდმა ოქტომბრის შემდეგ პირველი ქულა მოიპოვა სტუმრად. მასპინძელთა შეტევებს „სიტის" დაცვა მედგრად დაუდგა. „ჰადერსფილდს" რომ გაუმკლავდნენ, მანჩესტერელებმა თავადაც იხეირეს: ტაიმის ბოლოს მასპინძელთა კარში დანიშნული ჯარიმა ქინქლაძემ დაარტყა, ბურთი თავისუფალ როსლერს მიუვიდა, რომელმაც ლომასს მიაწოდა და ამანაც სეზონში პირველი გოლი მიითვალა. მეორე ნახევარში გიომ ორი საუცხოო სოლო-რეიდი განახორციელა, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და მომენტებიც დაიკარგა. მეკარე რაიტის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მან რამდენიმე დარტყმა მოიგერია, ერთხელ ჰადერსფილდელი სტიუარტის უძლიერესი დარტყმაც აილო. ამის შემდეგ „სიტიმ" ანგარიშის შენარჩუნებ[illegible] დაიწყო ზრუნვა და დაისაჯა კიდეც: დალტონის კუთხური ლაუსონმა გოლად აქცია. მატჩის შემდეგ ფრენკ კლარკი გულდაწყვეტილი იყო: „სამწუხაროა, მოგებას ხელიდან რომ გაუშვებ. ჩვენნაირ კლუბს აუცილებლად მოგება ესაჭიროება, მაგრამ ვხედავ, რომ „სიტი" ამისთვის ჯერ მზად არ არის. ბოლო ოც წუთში, როცა მასპინძლებმა შტურმი მოგვიწყეს, ჩემთვის ნათელი გახდა, რომ წარმატების მისაღწევად ჯერ ძალიან დიდი შრომა გვჭირდება. იმედია, „სიტის" მდგომარეობა მალე გაუმჯობესდება."

**სხვა მატჩები: პორტ ვეილი — ქუინზ პარკი 4:4, ბარნსლი — იფსვიჩი 1:2, ბირმინგემი — რედინგი 4:1, ბოლტონი — ვულვერჰემპტონი 3:0, ჩარლტონი — სტოკ სიტი 1:2, კრისტალ პალასი — პორტსმუთი 1:2, ნორვიჩი — გრიმსბი 2:1, ოქსფორდი — ტრანმერი 2:1, შეფილდი — საუთენდი 3:0, სვინდონი — ბრედფორდი 1:1, ვესტბრომვიჩი — ოლდემი 1:1.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 29 | 16 | 10 | 3 | 61-37 | 58 |
| შეფილდი | 27 | 14 | 7 | 6 | 47-28 | 49 |
| ბარნსლი | 27 | 13 | 8 | 6 | 46-32 | 47 |
| ვულვზი | 27 | 12 | 7 | 8 | 36-26 | 43 |
| სტოკ სიტი | 26 | 12 | 7 | 7 | 35-34 | 43 |
| ნორვიჩი | 27 | 12 | 6 | 9 | 37-37 | 42 |
| ქუინზ პარკი | 28 | 11 | 8 | 9 | 42-40 | 21 |
| კ. პალასი | 27 | 10 | 10 | 7 | 51-30 | 40 |
| ოქსფორდი | 28 | 11 | 7 | 10 | 39-32 | 40 |
| პორტ ვეილი | 28 | 9 | 12 | 7 | 34-31 | 39 |
| ტრანმერი | 28 | 11 | 6 | 11 | 37-36 | 39 |
| იფსვიჩი | 28 | 9 | 10 | 9 | 36-39 | 37 |
| ჰადერსფილდი | 28 | 9 | 9 | 10 | 33-36 | 36 |
| პორტსმუთი | 29 | 10 | 6 | 13 | 32-36 | 36 |
| ბირმინგემი | 25 | 9 | 9 | 7 | 28-24 | 36 |
| ჩარლტონი | 28 | 10 | 5 | 13 | 30-38 | 35 |
| ვესტ ბრომვიჩი | 28 | 7 | 13 | 8 | 43-45 | 34 |
| სვინდონი | 27 | 10 | 4 | 13 | 37-35 | 34 |
| რედინგი | 28 | 7 | 9 | 12 | 31-43 | 30 |
| ოლდემი | 26 | 6 | 10 | 10 | 29-32 | 28 |
| სიტი | 27 | 8 | 4 | 15 | 29-42 | 28 |
| ბრედფორდი | 29 | 6 | 9 | 14 | 27-45 | 27 |
| საუთენდი | 27 | 5 | 10 | 12 | 25-49 | 25 |
| გრიმსბი | 26 | 5 | 8 | 13 | 28-47 | 23 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ესპანეთის ჩემპიონატი.** გამოტოვებული მატჩი

22 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპორტინგი — ბეტისი | 3,2 | 2,8 | 1,9 |

**ესპანეთის თასის მერვედფინალი.** საპასუხო მატჩი

22 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ერკულესი — ლერიდა | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |

**ინგლისის თასის მეოთხე წრე**

25-26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუკასლი — ნოტინგემი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ბირმინგემი — სტოქპორტი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| ქუინზ პარკი — ბარნსლი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| პორტსმუთი — რედინგი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| კარლისლი — შეფილდ უენსდეი | 6,5 | 3,8 | 1,3 |
| ევერტონი — ბრედფორდი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ჩელსი — ლივერპული | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ლესტერი — ნორვიჩი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVIII ტური**

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — კალიარი | 1,4 | 3,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,1 | 3,4 | 1,9 |
| ინტერი — უდინეზე | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| იუვენტუსი — რეჯანა | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ლაციო — ბოლონია | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| ნაპოლი — პარმა | 1,8 | 2,6 | 4,0 |
| პიაჩენცა — რომა | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| სამპდორია — პერუჯა | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ვერონა — მილანი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ვიჩენცა — ფიორენტინა | 2,0 | 2,8 | 3,0 |

**იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XIX ტური**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუკეზე — კოზენცა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,2 | 3,4 | 1,8 |

26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| დი სანგრო — ბარი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ემპოლი — კრემონეზე | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ფოჯა — კიევო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლეჩე — ჩეზენა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| პადოვა — პესკარა | 2,0 | 2,6 | 3,2 |
| პალერმო — ჯენოა | 1,9 | 2,6 | 3,4 |
| რავენა — ტორინო | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| რეჯინა — სალერნიტანა | 1,9 | 2,7 | 3,3 |
| ვენეცია — ბრეშია | 2,9 | 2,9 | 2,0 |

**ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური**

25-27 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — სელტა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ესტრემადურა — დეპორტივო | 4,7 | 3,2 | 1,5 |
| ბილბაო — ერკულესი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ვალიადოლიდი — ბეტისი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| ბარსელონა — რაიო ვალეკანო | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| სპორტინგი — ოვიედო | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ვალენსია — ესპანიოლი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| სევილია — რასინგი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ლოგრონიესი — სოსიედადი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| კომპოსტელა — სარაგოსა | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| ტენერიფე — ატლეტიკო | 2,1 | 2,8 | 2,8 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIV ტური**

25 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — ლე ავრი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| მონაკო — პარი სენ-ჟერმენი | 1,9 | 2,6 | 3,4 |
| ბორდო — ნიცა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| მარსელი — ბასტია | 1,8 | 2,6 | 4,0 |
| სტრასბური — რენი | 1,5 | 2,9 | 5,6 |
| კაენი — ოსერი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ნანსი — მეცი | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| კანი — ლანსი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| გინგამი — ლილი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| მონპელიე — ლიონი | 2,1 | 2,6 | 3,0 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი. XVII ტური**

24-26 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — ბელენენსეში | 1,15 | 4,7 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,0 |
| ბრაგა — გიმარაეში | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჟილ ვისენტე — პორტუ | 12,0 | 5,0 | 1,1 |
| 1:0 | 4,0 | 3,4 | 1,3 |
| სეტუბალი — ლეცა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლეირია — მარიტიმუ | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| შავეში — რიუ ავე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| სალგეირუში — ფარენსე | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| ამადორა — ესპინიუ | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| სპორტინგი — ბოავიშტა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

ჰოკეი

# ნოლანმა ჰაშეკს თითი დაუქნია

## ოლ სტარის მატჩი

**18 იანვარი. სან ხოსე**

**ალმოსავლეთი - დასავლეთი 11:7**

**ალმოსავლეთი:** ლეკლერი (ბონდრა, სტივენსი, 9), ლემიე (გრეცკი, 10), რექი (მესიე, ალფრედსონი, 16), ჰავერჩუკი (ლინდროსი, კოფი, 17), რექი (შვეპლა, მესიე, 22), სანდერსონი (ლინდროსი, 24), ლემიე (შვეპლა, სისარელი, 27), მესიე (კ. ჰეთჩერი, ალფრედსონი, 29), რექი (ოუთსი, ლემიე, 31), ჰავერჩუკი (ლეკლერი, სტივენსი, 38), ლეკლერი (ბონდრა, ოუთსი, 49).

**დასავლეთი:** ბურე (სუნდინი, ამონტე, 18), კარია (ბურე, ოზოლინში, 19), ბურე (სელიანე, ფეტისოვი, 25), შენაჰანი (ჰალი, ოზოლინში, 37), ნოლანი (ფლერი, ოზოლინში, 39), ნოლანი (ამონტე, 40), ნოლანი (58).

**დარტყმები:** 41-46

ვარსკვლავთა შეხვედრას მავანნი მეკარეების პაექრობად ალიქვამენ, რაკი, ტრადიციულად, გუნდები დაცვას დიდად არ დაგიდევენ და საგოლე მომენტებიც იოლად და უხვად იქმნება. „ოლ სტარის" ბოლო თამაშმა და ალმოსავლეთის გოლკიპერის — ჩეხი ჰაშეკის თავგანწირვამ ეს აზრი დაადასტურა. მეტადრე ბოლო პერიოდში ჩეხი საუცხოო იყო. იგი ისე ირჯებოდა, თითქოს ნჰლ-ში მისი ყოფნა-არყოფნა წყდებოდა. ჰაშეკმა 20-ზე მეტი დარტყმა მოიგერია, მათ შორის, ერთმეტრიანი და უფრო ახლო მანძილიდანაც.

და მაინც, ერთხელ მასაც ეცვალა ფერფური, ისეთი შაიბა გაუშვა. შეხვედრის ყველაზე შთამბეჭდავი მომენტიც ეს იყო. მატჩის დრო ილეოდა, როცა ალმოსავლელი მესიეს შეცდომის შემდეგ ნოლანი ჰაშეკთან პირისპირ გავიდა. ფორვარდს რამდენიმე წამი ეყო, მეკარისთვის თითი რომ დაექნია — ამ კუთხეში გაგიტანო — და გოლიც შეეგდო. ამ შეხვედრაში გოლი მეტად აღარ გასულა.

წინა დღით კი გუნდები სხვადასხვა სახეობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ყველაზე სწრაფი ბონდრა (ალმოსავლეთი) იყო, ზუსტი — ბურკი (ალმოსავლეთი), მეკარეთაგან ვანბისბრუკმა (ალმოსავლეთი) იმარჯვა, დასავლელი მაკინისის დარტყმის სიჩქარე კი საათში ლამის 100 მილს გადასცდა. ალმოსავლეთმა 13:7 მოიგო.

შაბათს კი თვით მატჩი გაიმართა. ბევრი, და ეს უმრავლესობის აზრი იყო, ალმოსავლეთს აძლევდა უპირატესობას. მან თავიდანვე იგდო ხელთ ინიციატივა და მე-17 წუთზე ლეკლერის, ლემიეს, რექისა და ჰავერჩუკის წყალობით 4:0-ს იგებდა. დასავლეთმა ამას რამდენიმე მწვავე შეტევით უპასუხა. მის შემადგენლობაში ყველაზე აქტიურმა — ბურე-სუნდინის დუეტმა ორი შაიბა მოაწყო. ეს შაიბები ბურესა და კარიას ანგარიშზეა.

მეორე პერიოდში დასავლეთმა მეტი დრო დაჰყო მეტოქის მოედანზე, მაგრამ ალმოსავლეთი ვალში არ დარჩა — მისი კონტრშეტევები მეტად მწვავე იყო. ალმოსავლელები მარჯვედ იყენებდნენ მეტოქის დაცვის უსუსურობას, მათგან განსაკუთრებით რექი-მესიე-ალფრედსონის სამეული გამოირჩეოდა. რექმ ორი შაიბაც შეაგდო, მესიემ კი ლიდერის მებრძოლი სული ამხანაგურ მატჩშიც გამოავლინა. მეორე პერიოდის დასასრულს ანგარიში 10:4-მდე გაიზარდა. დანარჩენი შაიბები სანდერსონმა, კვლავ ლემიემ, მესიემ, ჰავერჩუკმა (ალმოსავლეთი), შენაჰანმა და ისევ ბურემ (დასავლეთი) მიითვალეს. ასეთმა შედეგმა მატჩისადმი ინტერესი გაანელა და სტუმრებმაც (გუნდებმა დასავლეთში ითამაშეს) ერთგვარად ასიამოვნეს სან ხოსელ მაყურებელს — მათ კუმირს, ნოლანს ორი შაიბა გაატანინეს — 10:6. ასე რომ, რექმა და ნოლანმა ჰეთ-თრიქი შეასრულეს, ლემიემ კი 11-მდე გაზარდა სნაიპერული მარაგი, ლეგენდარულ ჰოუს (10 გოლი 23 მატჩში) გაუსწრო და ერთითლა ჩამორჩება გრეცკის — 12 გოლი 16 მატჩში.

ბოლო პერიოდში ლეკლერმა 11:6 გახადა ანგარიში. დანარჩენი კი, ნოლანის თითის ქნევისა და გოლის ამბავი, უკვე იცით. ბოლოს დავძენთ, რომ 1969 წლიდან დასავლელებს ალმოსავლელები სჯობიან — 19:7 იგებენ.

ბოლო მომენტში დაშავებული მოდანო და გოლკიპერი ოსგუდი ფინიქსელმა ტკაჩუკმა და ანაჰაიმელმა მეკარემ ებერმა შეცვალეს (ყველა დასავლეთი).

უნდა ითქვას, რომ წინა ორი მატჩისაგან განსხვავებით, ალმოსავლეთის უპირატესობა აშკარა იყო. შეხვედრის მეორე პერიოდი კი ყველაზე შედეგიანია „ოლ სტარის" ისტორიაში — 10 შაიბა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მონრეალელი მარკ რექი დაასახელეს, თუმცა ამ ტიტულს ჰაშეკიც იმსახურებდა. რექმა თამაშის შემდეგ განაცხადა: „ისინი, ვინც გასახდელში იყვნენ, უდაოდ დიდი მოთამაშეები არიან. ცოტა არ იყოს, სასაცილოა იმის ყურება, როგორ ეპყრობიან ისინი ერთმანეთს და როგორ ემზადებიან, როგორი აურაა მათ გარშემო".

მეორე ჰეთ-თრიქის გამკეთებელი ნოლანი ამატებს: „როდესაც ამდენი უნიჭიერესი მოთამაშე გამოდის ყინულზე, უეჭველად ელი მაღალშედეგიან თამაშს".

და ბოლოს, ბრწყინვალე მარიო: „დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჩემი ბოლო „ოლ სტარის" თამაშია. ამიტომაც გამოვედი მოედანზე. მოხარული ვარ, რომ კარიერის დასასრულს შანსი მომეცა დიდი ხნის ოცნება ამესრულებინა და გრეცკისთან ერთად მეთამაშა".

რაც შეეხება თავად უეინ გრეცკის, იგი საკმაოდ უფერულად გამოიყურებოდა (მხოლოდ 1 პასი), თუმცა, ლემიესგან განსხვავებით, კარიერის დამთავრებას ჯერ სულაც არ აპირებს.

**სამველ ლარიბიანი**




ფეტისოვი და ფლერი ნოლანს ჰეთ-თრიკს ულოცავენ

### ოლ სტარის რეკორდები

**ყველაზე შედეგიანი მატჩები**

22: ალმოსავლეთი — დასავლეთი 16:6 (1993)
19: ალმოსავლეთი — დასავლეთი 12:7 (1990)
18: ალმოსავლეთი — დასავლეთი 11:7 (1997)

**ნაკლებად შედეგიანი**

2 შაიბა: ოლ სტარი — მონრეალი 1:1 (1956)
ოლ სტარი 1 — ოლ სტარი 2 1:1 (1952)

**დარტყმები**

ყველაზე მეტი რაოდენობა: 102.
ალმოსავლეთი — დასავლეთი 56:46 (1994)
ყველაზე ნაკლები: 52.
ალმოსავლეთი — დასავლეთი 40:12 (1978)

**უსწრაფესი ორი შაიბა**

8 წამის განმავლობაში: ნოლანი (დასავლეთი) (1997)
10 წამი — ვერვერგერი (დასავლეთი) (1976)

**უსწრაფესი სამი შაიბა**

1წთ 8 წმ — ალმოსავლეთი (1993)

**უსწრაფესი ოთხი შაიბა**

7 წუთი და 27 წამი — ალმოსავლეთი (1997)

**შაიბების რაოდენობა ერთ პერიოდში**

10: ალმოსავლეთი — დასავლეთი 6:4 (1997, II პერიოდი)
9: ალმოსავლეთი — დასავლეთი 7:2 (1990, I პერიოდი)

**თამაშები**

ჰოუ 23, გრეცკი 16, ბურკი 15, მაჰოვლიჩი 15, კოფი 14

**გოლები**

გრეცკი 12 (16 მატჩში), ლემიე 11 (7), ჰოუ 10 (23)

**პასები**

ბურკი 14 (15), ოუთსი 13 (7), საკიკი 12 (7)

**ქულები**

გრეცკი 20 (12+8), ლემიე 20 (11+9), ჰოუ 19 (10+9), ბურკი 17 (3+17), ოუთსი 14 (1+13), მაჰოვლიჩი 13 (8+5)

**გოლები უმრავლესობაში**

ჰოუ 6

**ერთი მატჩის რეკორდები**

გოლი: 4 — გრეცკი (1983), ლემიე (90), ლამფუსი (91), გარტნერი (93)
პასები: 5 — ნესლუნდი (88), 4 — ბურკი (85), ოუთსი (91, 93), რექი (93)
ქულები: 6 — ლემიე (3+3, 1988), 5 — ნესლუნდი (6+5, 88), ოუთსი (1+4, 91), გარტნერი (4+1, 93), რექი (1+4, 93), ტარჯონი (3+2, 93)

### 90-იან წლებში ჩატარებული მატჩების შედეგები

1990 ალმოსავლეთი — დასავლეთი 12:7
1991 ალმოსავლეთი — დასავლეთი 5:11
1992 ალმოსავლეთი — დასავლეთი 6:10
1993 ალმოსავლეთი — დასავლეთი 16:6
1994 ალმოსავლეთი — დასავლეთი 9:8
1995-ში არ ჩატარდა
1996 ალმოსავლეთი — დასავლეთი 5:4
1997 ალმოსავლეთი — დასავლეთი 11:7




შესვენებაზე ეკრანზე გრეცკის „საკონცერტო" ნომერს უჩვენებენ, რამაც თავად გრეცკი და მარიო ლემიე ერთობ გაამხიარულა

ეროვნული ბიბლიოთეკა




1. ვაჟა ოშანიძე (თბილისი)
2. აკაკი კუნჭულია (აჭარა)
3. მალხაზ ნიშნიანიძე (ქუთაისი)




1 ალექსანდრე ბოლქვაძე (ოზურგეთი)
2 ალექსანდრე ცერცვაძე (ქუთაისი)
3. ალექსანდრე კუნჭულია (აჭარა)




1. აკაკი ჩაჩუა (სამტრედია)
2 იმედა ფრენწუაშვილი (გარდაბანი)
3. გოჩა ბოცვაძე (სამტრედია)




1 გიორგი ჯინჭველაშვილი (ქუთაისი)
2. ამირან სვანიძე (ოზურგეთი)
3. შმაგი გოქაძე (ქუთაისი)




1 ხვიჩა ბიჩინაშვილი (თბილისი)
2. შმაგი ნოზაძე (ჭიათურა)
3. ბესიკ ზურაბიანი (ოზურგეთი)




1. ემზარ მახარაძე (თბილისი)
2. ზურაბ წიქარიძე (თბილისი)
3 დიმიტრი გელაშვილი (ბორჯომი)




1. ბაკურ გოგიტიძე (თბილისი)
2. ზაზა სილაგაძე (თბილისი)
3. გენადი ჩხაიძე (აჭარა)




1. ხვიჩა ქორიძე (თბილისი)
2 მირიან გიორგაძე (თერჯოლა)
3 თამაზ გოგელია (თბილისი)

# ანტიკურის ქართულ-ოსური ვარიანტი

**საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში**

დასაწყისი პირველ გვერდზე

ფინალური შეხვედრები მცირე შესვენების შემდეგ დაიწყო.

54 კგ. ორდღიანი ტურნირის მანძილზე საცქერლად ყველაზე საამო ვაჟა ომანიძისა და აკაკი კუნჭულიას ფინალი იყო. შეხვედრა ისე გასრულდა, წამით არ გაჩერებულან ბიჭები — ჯერ ომანიძემ წამოილო კისრულით კუნჭულია, შემდეგ ჩოქბჯენიდან ლამაზად დაატრიალა და ქულათა გვარიანი მარაგი დააგროვა. კუნჭულიამ, არც მე ვარ ჯაბანიო და ზედიზედ 3 ქულა აართვა მეტოქეს. მაგრამ ომანიძემ კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა — 12:5 და ოქროც მოიგო.

58 კგ. ალექსანდრე ცერცვაძე — ალექსანდრე ბოლქვაძე. აქტიურობით ბოლქვაძე გამოირჩეოდა და პირველი ქულაც მან მოიპოვა. აქედან დაწყებული საფინალო სასტვენამდე ცერცვაძე მდევრის როლში იყო. მეტოქეს ორ ქულას თუ დაუთმობდა, თავად ერთს სჯერდებოდა. ბოლქვაძეც, რა თქმა უნდა, ყაბულს იყო ამაზე და შეხვედრაც 6:3 დამთავრდა.

63 კგ. აკაკი ჩაჩუა ფინალამდე ისე მივიდა, თითქოს ვარჯიშზეა და გამოუცდელ სპარინგ-პარტნიორებს ეჭიდავებაო. იმედა ფრენწუაშვილიც ისეთ დღეში ჩააგდო, კაცი იფიქრებდა, ამაზე დიდი მტერი ჩაჩუას არა ჰყოლიაო. თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ იმედა ნატკენი ხელით ჭიდაობდა, ამიტომაც ჩაჩუამ ძირითადი დროის დასრულებამდე ჩაასტვენინა არბიტრს — წმინდად მოიგო.

69 კგ. ქუთაისელ გიორგი ჯინჭველაშვილს 18 იანვარს დაბადების დღე ჰქონდა. ოქროს მედალზე უკეთეს საჩუქარს რას მიუძღვნიდა საკუთარ თავს. ჰოდა, ამირან სვანიძესთან ფინალური ბრძოლაც გაშმაგებით დაიწყო. პირველსავე წუთზე 5:0-ს იგებდა. სვანიძემ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია იუბილარს. ის კი არა, 2 წუთის განმავლობაში ამირანი, მგონი, ხალიჩას არც შეხებია — სულ ჰაერში ატრიალებდა ჯინჭველაშვილი. ბოლოს გიორგიმ კისრულით წამოილო ამირანი და წმინდადაც გაიმარჯვა.

76 კგ. ლამაზი და რისკიანი ჭიდაობით თუ ვინმემ თავი დაამახსოვრა გულშემატკივრებს, ერთ-ერთი ნამდვილად ხვიჩა ბიჩინაშვილი იყო. ფინალში მას შმაგი ნოზაძე დაუხვდა. შმაგის, ეტყობა, დრო არ ეყო გასაშმაგებლად, თავიდანვე პასიურად იჭიდავა და მეტოქეს ილეთის ილეთზე ჩატარების საშუალება მისცა. ბიჩინაშვილმაც წმინდად მოიგო — 10:0.

85 კგ. ფინალისტები რაც უფრო დამძიმდნენ, მით უფრო ნაკლებად აქტიური და სახილველადაც ნაკლებმიმზიდველი შეხვედრები მომრავლდა. „ჭარბი წონა" უკვე 85 კილოში მოასპარეზეებს შეეტყოთ. ზურაბ წიქარიძისა და ემზარ მახარაძის შეხვედრას ულამაზოს ვერ ვუწოდებ, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, 54 ან 63 კილოგრამიანთა ფინალების დარი იყოო. ზურაბიც და ემზარიც ფრთხილობდნენ, ნაკლებად რისკავდნენ. როცა მეტოქენი არ ლამობენ ან ვერ ახერხებენ საკუთარი ოსტატობის დემონსტრირებას, ხშირად იღბალი ერევა საქმეში — ემზარ მახარაძეს იღბალმა ზურგი არ შეაქცია, ოსტატობაც მოიშველია და ოქროც მოიპოვა.

97 კგ. ამ ჩემპიონატში ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეთაგან მხოლოდ ბაკურ გოგიტიძე ასპარეზობდა, ამიტომაც მის ყველა შეხვედრას დიდი გულისყურით უცქერდნენ ქომაგები. ბაკურს ფინალში ზაზა სილაგაძე ერგო. ბრძოლა მეტად დუნედ დაიწყო და ბოლომდეც ასე გასტანა. მეტოქეებმა მსაჯთა არაერთი გაფრთხილებაც დაიმსახურეს პასიური ჭიდაობისთვის, ძირითად 5 წუთში ქულა ვერ მოიპოვეს. დამატებით 3 წუთში კი სილაგაძემ გაიბრძოლა, ილეთი წამოიწყო, მაგრამ თავისსავე ილეთზე დაიჭირა გოგიტიძემ, ქულა აართვა და ჩემპიონიც გახდა.

მძიმე წონა. გოლიათებში მირიან გიორგაძემ და ხვიჩა ქორიძემ ყველას დამაჯერებლად აჯობეს და ფინალშიც იჭიდავეს. წინა წონისა არ იყოს, თავიდან, არც ამათ გამოუჩენიათ თავი მრავალფეროვანი და დახვეწილი ჭიდაობით, მაგრამ მალე გამოფხიზლდნენ და ლაზათიანი ჭიდაობაც გააჩაღეს. ქორიძე აშკარად მძიმე იყო მეტოქეზე, მაგრამ ფინალი ფინალია და გიორგაძე არ შეეპუა. პირველი ქულა ხვიჩამ აართვა მეტოქეს, შემდეგ ანგარიში გაათანაბრა, მერე გიორგაძე დაწინაურდა — ჩოქბჯენიდან დაატრიალა ქორიძე და ქულა მოიგო. ხვიჩამაც ამგვარი ილეთი გააკეთა, მაგრამ მსაჯებმა 2 ქულა არგუნეს და შეხვედრაც მოიგო. ყველაზე სადავო ფინალად სწორედ ქორიძე — გიორგაძის ორთაბრძოლა იქცა. მსაჯმა თავისი საქმე ყველაზე უკეთ იცის. მე მხოლოდ იმასღა დავძენ, რომ თუ ვინმემ სიტყვიერად გააპროტესტა მსაჯთა გადაწყვეტილება, მათ შორის ჩვენი სასიქადულო ფალავანი დავით ციმაკურიძეც იყო. ეს კი, რა მტკიცება უნდა, ანგარიშგასაწევი ფაქტია. მოკლედ, ჩემპიონები გამოვლინდნენ, პრიზიორები მედლების მისაღებად მოემზადნენ, ჩვენ კი, ვიდრე ისინი კვარცხლბეკს მიაშურებენ, სხვა ამბებიც გავიკითხ-გამოვიკითხოთ.

წელან მოგახსენეთ, ატლანტაში ბერძნულ-რომაულ სტილის მოჭიდავეთაგან ჩემპიონატში მხოლოდ ბაკურ გოგიტიძემ იასპარეზა-მეთქი. ტარიელ მელელაშვილს, ადრეც გაუწყეთ, ატლანტაში მიღებული ტრავმა ჯერაც არ მოშუშებია. მისი მოხელთება ტურნირის დასასრულს ძლივს შევძელი, ინტერვიუც ვთხოვე, მაგრამ ზრდილობიანად მომიბოდიშა, ინტერვიუს ხასიათზე არა ვარ და სამომავლოდ იყოსო. კობა გულიაშვილიც მოვისაკლისე ფალავანთა კლუბში, მოვიკითხე და მითხრეს, მამა გარდაეცვალაო.

კიდევ ერთი ოლიმპიელი აკლდა ჩემპიონატს — მჩატეწონოსანი გელა პაპაშვილი. იგი ამჟამად მოსკოვშია, მაგრამ თბილისშიც რომ ყოფილიყო, მაინც ვერ იჭიდავებდა. მოგეხსენებათ, ფილამ გელას წონითი კატეგორია (48) გააუქმა, ყველაზე მჩატე წონად 54 კილოგრამი დააწესა და, რა თქმა უნდა, ძნელია 6 კილოგრამის მომატება ზრდასრული სპორტსმენისთვის. მით უმეტეს, ეს მცირე ხანში არანაირად მოესწრებოდა.

რაკი დავით ციმაკურიძე დავლანდე, აბა, რას მოვეშვებოდი ფალავანთა ფალავანს და ტურნირის ზოგადი შეფასება ვთხოვე. არა უშავსო, მიპასუხა ბატონმა დავითმა, — ეგ არის, მსაჯები ზოგჯერ სცოდავენო და მაგალითად გიორგაძისა და ქორიძის ორთაბრძოლა მოიყვანა. „ნახავ, ეგ ბიჭი ყველას დაანგრევს, ახლა მსაჯებმა წააგებინეს. მე მითქვამს და დაიმახსოვრე, ოლიმპიური ჩემპიონი გახდება" — მითხრა მირიან გიორგაძეზე დავით ციმაკურიძემ.

გიორგი ჯინჭველაშვილი ადგილზე ვერ ისვენებდა, ცქმუტავდა. არც გაემტყუნებოდა იუბილარს — კაცმა ჩემპიონატი მოიგო, თან დაბადების დღე ჰქონდა, ერთი ლაზათიანი მოლხენა არ ეკუთვნოდა?! ამიტომაც იყო, ინტერვიუზე არ დამთანხმდა და ორიოდ სიტყვა გავცვალეთ მხოლოდ.

**— ელოდი ჩემპიონობას?**

— ჩემს წონაში ძლიერი ბიჭები ჭიდაობდნენ, ამიტომ, აუცილებლად მოვიგებ-მეთქი, არ ვიჩემებდი.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვს?**

— ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადები. მინდა მაისისთვისაც პირველი ვიყო ჩემს წონაში და ფინეთში წავიდე.

**— დაბადების დღეს თუ აღნიშნავ?**

— კი, პატარა სუფრას აუცილებლად გავშლი.

**— რატომ პატარას?**

— პატარა, ნაქირავებ ოთახში ვცხოვრობ და ბევრნი ვერც დავეტევით, თანაც ჩემს უახლოეს მეგობრებს ვპატიჟებ მხოლოდ.

მეც მივულოცე დაბადების 25 წელი გიორგი ჯინჭველაშვილს და დავაიმედე — არა უშავს, გიორგი, ჩვენში ბევრი დიდი ფალავანი პატარა, ნაქირავებ ოთახში გაიზარდა-მეთქი.

ამასობაში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალიც დაიწყო, სხვადასხვა დროის სახელოვანმა ფალავნებმა, ჩვენი გაჭირვებული ცხოვრების კვალობაზე, საკმაოდ სოლიდური პრიზები გადასცეს სპორტსმენებს.

კარგი სამსახური გამიწია ჩვენმა ფოტორეპორტიორმა ბადრი კეთილაძემ. ჯერ იყო და ის მითხრა, გიორგი ჯინჭველაშვილს დაბადების დღე აქვს და ჩემპიონი იუბილარი რესპონდენტად გამოგადგებაო. მერე დაჯილდოების ცერემონიალისას ახალი ამბავი მამცნო — კვარცხლბეკთან, ყველა ჩემპიონთან ვილაც კაცი მიდის და ჯიბეში ჩუმად ფულს უდებსო. მეც, რა საქმე მქონდა, იმ „ვიღაც კაცის" საძებრად გავეშურე. უცნობი ვლადიკავკაზელი ივერი ქუმსიევი გამოდგა. ჯერ იუარა, თავი დამანებე, ბიჭებთან იმიტომ მივდივარ, რომ გამარჯვებას ვულოცავ მხოლოდო. სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა, ეტყობა, ოსური მილოცვაა-მეთქი, კი ვიფიქრე, მაგრამ როცა ქუმსიევი ფაქტზე დავიჭირე და ერთ-ერთი ჩემპიონის ჯიბესთან მის ხელში ჩაკუჭული 100-დოლარიანი დავინახე, რაღას იზამდა, გატყდა და მცირე ინტერვიუზეც დამთანხმდა.

**— ბატონო ივერი, რატომ მაინცდამაინც ივერი?**

— ქარელში დავიბადე და ქართული სახელი დამარქვეს. შემდეგ გორში ვცხოვრობდი. არც ისე დიდი ხანია, რაც საქართველოდან წავედი.

**— დღეს საკმაო ფული გაიღეთ ჩვენი ბიჭებისთვის...**

— ვეხმარები ბიჭებს. მეც ყოფილი მოჭიდავე ვარ — ბერძნულ-რომაულს ვჭიდაობდი. აქ ქარელში და გორში ვისწავლე ჭიდაობა. სპორტსმენის დაოხნებაც ვიცი და გაჭირვებაც, ამიტომ ვიცი, რასაც ვაკეთებ.

**— ახლა რას საქმიანობთ?**

— კომერციას მივდევ, გნებავთ, ბიზნესი უწოდეთ. მოკლედ, [illegible] ფულს ვშოულობ და მოჭიდავეებსაც ვეხმარები.

**— ვლადიკავკაზიდან იმიტომ ჩამოხვედით, რომ ჩემპიონებისთვის ას-ასი დოლარი გეჩუქებინათ?**

— არა, ბიჭებისთვის ჯიბის ფული ისე გამოვიყოლე. ქართველი მოჭიდავეები მომყავს ხოლმე ვლადიკავკაზში. იქაური ჭიდაობის ფედერაციის მესვეურებთან მჭიდრო კავშირი მაქვს, ჩამყავს აქედან ქართველი ბიჭები და ვლადიკავკაზის კლუბების სახელით ასპარეზობენ. ამით ჩვენც ხეირში ვართ და თქვენც — თქვენი მოჭიდავეები ნორმალურ პირობებში ვარჯიშობენ, ფორმას ინარჩუნებენ.

**— ნუ კი მიწყენთ, მაგრამ ეჭვი არ მასვენებს და გეტყვით: ყველაფერს იმიტომ ხომ არ აკეთებთ, რომ იქაურ პირობებს შეაგუოთ ჩვენებურები, შემდეგ უკეთესიც შესთავაზოთ და, ბოლოს თქვენი ქვეყნის მოქალაქეობაც?**

— არა, ამაზე არც მიფიქრია. თუ წასვლა უნდათ, რა, აქამდე ვერ წავიდოდნენ თუ ოსეთს იქით გზა არ იციან?

ეჭვშეპარული ქველმოქმედი სტუმრის სიტყვებს ბოლომდე მაინც არ ვენდე, მაგრამ როცა ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ბეგი დარჩიამაც დამიდასტურეს ქუმსიევის ნაამბობი, ეჭვიც გამიქრა. ბეგი დარჩიამ ისიც დასძინა, ნაკრები ერთ კვირაში თურქეთს გაემგზავრება საერთაშორისო ტურნირზე და ეს ჩემპიონატი მისწრება იყო ბიჭებისთვისო. ნაკრების მწვრთნელმა ამ ჩემპიონატზე გამოჰყო გიორგაძის, ჯინჭველაშვილის, ომანიძისა და ბიჩინაშვილის კარგი ჭიდაობა, ბორჯომელ დიმიტრი გელაშვილს კი ჩემპიონატის ალმოჩენა უწოდა.

-ტურნირის დაწყებამდე ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელებმა მ...ხოვეს, „საქენერგოს" ხელმძღვანელებს, იქნებ, სახალხოდ მადლობა გადავუხადოთ, რადგან დაგვპირდნენ, ჩემპიონატის ორივე დღეს დენი გექნებათო. „საქენერგომ" სიტყვა სანახევროდ შეასრულა — ტურნირის პირველ დღეს იყო დენი, მეორე დღეს კი — არა. ამდენად ფალავანთა კლუბის დარბაზიც განათებისა და გათბობის გარეშე დარჩა. მეც „საქენერგოს" ხელმძღვანელებს სანახევრო მადლობას მოვახსენებ და ამით გავუსრულებ წერილს.

**ლევან ჯავახიშვილი**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

## კალათბურთი

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

17 იანვარი

**ტორონტო — პორტლენდი 94:92, სიეტლი — კლივლენდი 96:84, მაიამი — ვაშინგტონი 103:92, იუტა — ვანკუვერი 106:68, ჰიუსტონი — დალასი 88:78, ნიუ ჯერსი — ფილადელფია 105:103, ჩიკაგო — მილუოკი 100:73, სან ანტონიო — საკრამენტო 96:76, გოლდენ სტეიტი — ინდიანა 98:91**

18 იანვარი

**ვაშინგტონი — ბოსტონი 112:106, ატლანტა — მილუოკი 94:71, შარლოტი — ნიუ ჯერსი 102:92, მინესოტა — გოლდენ სტეიტი 108:93, დალასი — დენვერი 107:104, ფინიქსი — ნიუ იორკი 105:98, დეტროიტი — ლეიკერზი 100:97**

19 იანვარი

**ორლანდო — მაიამი 99:87, ჰიუსტონი — ჩიკაგო 102:86, ინდიანა — ფილადელფია 111:107, ვანკუვერი — ტორონტო 100:92, კლივლენდი — კლიპერზი 107:102, პორტლენდი — იუტა 102:96**

## როდმანი: მინუს 25 000 და 11 მატჩი

17 იანვარს „მინესოტასთან" მატჩში „ჩიკაგო ბულზის" ფორვარდმა დენის როდმანმა წიხლი ჩაარტყა ტელეოპერატორ იუჯინ ამოსს. ამისათვის იგი 25 ათასი დოლარით დააჯარიმეს და თან 11-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ეს დისკვალიფიკაცია ხანგრძლივობის მხრივ მეორეა ნბა-ს ისტორიაში. ყველაზე გრძელი 26-მატჩიანია. იგი 1977 წელს დაიმსახურა „ლოს ანჯელეს ლეიკერზის" კერმიტ ვაშინგტონმა, როცა სახეში მუშტი გაარტყა მაშინდელი „ჰიუსტონის" მოთამაშეს, ახლა კი იმავე გუნდის მწვრთნელს რუდი ტომიანოვიჩს.

# რაგბი

## ხუთი ერის პირველობა



### უელსის პირველი ლელო

ლიგის რაგბიდან დაბრუნებული ჩეელი ხვადაგი სქოთ ქვინელის დაჭერას ამაოდ ცდილობს კენი ლოგანი. აკი ლონდონის „დეილი ტელეგრაფის" წერს, ქვინელი და გიბსი ერთობ დალვინებულან ლიგაში

როიტერი
ედინბურგიდან

# მარიფილდური ბლიც-კრიგი

18. I. ედინბურგი. მარიფილდი. 67 500

**შოტლანდია 19:34 უელსი**

(13:10). მსაჯი სმითი (ირლანდია)

შოტლანდია: შეპარდი; სთეინჯერი, ს. პეისთინგსი, თაუნზენდი, ლოგანი; ჩალმერსი (სთარქი 78), არმსთრონგი — პილთონი, ელისი, სთიუართი; რიიდი (მანროუ 55), ვიარი; ვოლთონი, ვოლისი, ვეინრაითი (კაპ). — ლ: პეისთინგსი; გ და პს: შეპარდი; ა: ჩალმერსი

უელსი: ნ. ჯენქინსი; ი. ევანსი, გიბსი (ჯონათან დევისი 80), ბეითმენი, გ. თომასი; ა. თომასი, პაული — ლოუდერი, პამფრიზი (კაპ), იანგი; პლუელინი, რაული (კრეგ ქვინელი 67); ვილიამსი, ჩარვისი (გვ. ჯოუნზი 76), სქოთ ქვინელი. — 4ლ: ქვინელი, ჯენქინსი, ა. თომასი, ევანსი; 4გ და 2ს: ჯენქინსი

ორმა სქოთმა გააბიაბურა სქოთების ნაკრები: უელსელებმა — სქოთ გიბსმა და სქოთ ქვინელმა შავი დღეს აყარეს შოტლანდიის გუნდს, რომლის ერთი ლელოც ამათმა სეხნიამ — სქოთ ჰეისთინგსმა გაიტანა.

უელსს მარიფილდში 1985 წლის მერე ველარ გაემარჯვნა. თითქოს არც მასპინძლები ჩანდნენ ჯაბანი: ტაიმიც მოიგეს და მეორის დასაწყისში მეტადაც დაწინაურდნენ, მაგრამ მერე შოტლანდიას დაუდგა „შავი ექვსი წუთი" — 51-ედან 56-ემდე, როცა სამი ლელოს გაშვება მოახერხა. ამგვარი კრახი სქოთებისათვის ახალი ხილი როდია: 1994 წლის შემოდგომაზე, მარიფილდშივე, უარესი დაემართათ სამხრეთ აფრიკასთან.

თავიდან დიდ ვერაფერი მატჩი იყო 3:3. მერე გაიბრწყინა მასპინძელთა ვარსკვლავმა გრეგორ თაუნზენდმა, რომელიც შუამარბად დაეყენებინათ და ბურთი იშვიათად მისდიოდა. იგი თუმც ერთობ ვიწროდ იყო, ორ მეტოქეს მაინც გაუძვრა და სასწაული პასით ჰეისთინგსს ლელოში დაუყვინინა **10:3.**

გამოხდა შვიდი წუთი და უელსმა ანგარიში გააყაიმა ლიგის რაგბიდან დაბრუნებული ბიჭების მეშვეობით. ბეითმენმა განდაგან სირბილითა და ფინტით გარღვევა მოაწყო და ბურთი მისცა გიბსს, ამას კი ქვინელი მიეშველა **10:10.** ზედ შესვენების წინ, იერიშის მესამე ფაზიდან ჩალმერსმა არეკნით ისევ მასპინძლები დააწინაურა, **45-ე** წუთზე კი შეპარდმა საჯარიმოც შეაგდო **16:10.**

უელსმა ბლიც-კრიგი ამის შემდეგლა განახორციელა და ერთბაშად 21 ქულა მოიხვეჭა. სქოთებიც მაგრად აირივნენ და მოედნის შუაგულიდან ორჯერ თამაშიც კი ვერ განაახლეს.

ჯერ იყო და მცველად გამწესებულმა ნილ ჯენქინსმა მარცხენა ალამთან გაიტანა ლელო, მერე შოტლანდიელებმა აბრაგანი ვერ მოიგერიეს და ჩიტივით მსუბუქმა ნორჩმა 10 ნომერმა არველ თომასმა ბებერ პეისთინგსს ისეთი სიჩქარით ჩაუქროლა, რომ უქმი ბურთის ხაზთან ძლივსლა გაჩერდა და ლელო სულ ნაპირში გაიტანა, ბოლოს კი ჯენქინსმა ისევ გონივრულად გააგორა ბურთი წინ და ვეტერან გარემარბ იაიან ევანსს გაატანინა კარიერის 31-ე ლელო 16:31.

# აუღებელი ფრანგული ციხე

18. I. დუბლინი. ლენზდაუნ როუდი
48 ათასი მაყურებელი

**ირლანდია 15:32 საფრანგეთი**

(12:12). მსაჯი ვოთსონი (სამხ. აფრიკა)

ირლანდია: ოშეი; თოფინგი, ფილდი (მაქქილქინი 50), ბელი, ქროთი; ელვუდი, ჰოგანი — ფოფლველი (ფლევინი 80), ვუდზი (კაპ) (კლარკი 38), ვოლისი; ჯონსი, დევიდსონი; ქოქრი, მაკბრაიდი, მილერი. — 5ს: ელვუდი

საფრანგეთი: სადურნი; ნტამაკი, გლასი, კასტენიედი, ვანდიტი; პენო, გალთიე (კარბონო 43) — კალიფანო, დალმაზო, ტურნერი; მერლი, მიორენი (კასტელი 60); ბენაზი (კაპ), ბენეტონი, პელუ. — 4ლ: გალთიე, ვანდიტი 3; 3გ, 2ს: კასტენიედი



ბურჯი ტურნერი

ბრაიან ეშთონმა რაგბის ჩეკ ჩარლტონად ვერ ივარგა! გავერანებულმა ირლანდიამ ზედ ხუთი ერის პირველობის წინ გუნდი ამ ინგლისელ სპეციალისტს ჩააბარა, მაგრამ ამან სასწაული ვერ მოახდინა — ირლანდიას ვერ გაამარჯვებინა საფრანგეთთან, ვინაც დუბლინში ბოლო ჯერზე **1983** წელს წააგო.

სამოასთან და იტალიასთან დამარცხებული მასპინძლები თითქოს წინდაწინ განწირული იყვნენ, მაგრამ მაინც ჯიგრით ითამაშეს და მთელი ერთი საათი გაუძალიანდნენ სტუმრებს. მეტიც, ეშთონის რჩევით ირლანდიამ 10 ნომერი ოდნავ უკან დაწია, რათა შუამარბებს მეტი გასაქანი ჰქონოდათ. მორკინალებიც ბურთს ძველებურად კი არ ასამარებდნენ, არამედ თანაგუნდელისთვის გადაცემას ეშურებოდნენ.

სტუმრებმა ოთხი ლელო გაიტანეს, მასპინძლებმა — ვერცერთი. მედგარი ირლანდია დამრტყმელ ერიკ ელვუდის იმედად იყო, რომელმაც შესვენებამდე ხუთი ცდიდან ოთხი გოლი გაიტანა, 48-ე წუთზე კი ირლანდია წინაც გაიყვანა 15:12. აქ მასპინძლები ისე გახელდნენ, რომ სტუმრებს მიეძალნენ, მაგრამ მალევე გატყდნენ.

ელვუდი ხუთი აღდგენილიდან ერთ-ერთი იყო. მან შეცვალა ბერქი, ვინაც იტალიას 8 საჯარიმოთი 24 ქულა შეუგდო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 32:15 | 4-0 | 2 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 34:19 | 4-1 | 2 |
| ინგლისი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0-0 | 0 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 19:34 | 1-4 | 0 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 15:32 | 0-4 | 0 |

მეორე ტური: 1. II ინგლისი — შოტლანდია, უელსი — ირლანდია

ფრანგების უფროსობას თავიანთი ბიჭების უწესობისა ეშინოდა. მართლაც, ოლივიე მერლმა მუშტი-კრივისთვის, იუგ მიორენმა კი — დაწიხლვისათვის ყვითელი ბარათები დაიმსახურეს. თამაშის შემდეგ მეტოქე ბანაკებმა განიხილეს ვიდეო და დაადგინეს, რომ ფრანგებს დაევალოთ ბურჯ ფრანკ ტურნერის დასჯა, ვინაც კლარკს 43-ე წუთზე წიხლი სახეში ჩააზილა, მაგრამ მსაჯს ეს ინციდენტი შეუმჩნეველი დარჩა.

სტუმრებს მაინც ბევრად დიდი პოტენცია აღმოაჩნდათ. თუმც ბურთი მალიმალ უვარდებოდათ ხელიდან და ვერც რაქებში ყოჩაღობდნენ, ტაიმებში ორ-ორი ლელო მაინც გაიტანეს. ჰეთ-თრიქი შეასრულა გარემარბმა დავიდ ვანდიტიმ.

გადამწყვეტი ლელო **61-ე** წუთზე გავიდა: ფრანგებმა შერკინებიდან მოკლე ფრთაზე შეუტიეს, მორკინალების ნაჯაფი კი პენომ ვანდიტის დაასრულებინა **15:19.** ფრანგებს მეტიც შეეძლოთ: კასტელი და სადურნი მასპინძლებმა ლელოშიღა ალაგმეს.

### ერიჰაა!

IRFB

პარასკევს რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) დიდი მკრეხელობა ჩაიდინა: გააუქმა წესი, ფეხბურთელების მოქიშპე მორაგბეებს საუკუნეზე მეტ ხანს რომ ემაყებოდათ.

ამიერიდან რაგბის მატჩის შესვენება ხუთის ნაცვლად **10** წუთი იქნება; გუნდებს მოედანზე დარჩენა კი ალარ მართებთ, არამედ გასახდელში შეეძლებათ წასვლა.

რაგბის ბრძენმა მამებმა სიახლე ასე გაამართლეს: ერთი, რომ ახალი წესების წყალობით დატვირთვა ისე გაიზარდა, მოთამაშეებს ძალის მოსაკრებად მეტი დასვენება ჰირდებათო; მეორეც, რაკი პაუზა ორჯერ მეტი იქნება, ტელე-რეპორტაჟის შესვენებაში მეტი რეკლამა ჩაეტევა, რითაც შემოსავალი მოგვემატებაო.

# რალი

## პირველადა და მეხუთედ

კვირას სენეგალის დედაქალაქ დაკარში დასრულდა ტრადიციული რალი, წელს დაკარი — ალადესი (ნიგერი) — დაკარი მარშრუტით რომ გაიმართა.

**XIII** ეტაპი (**17. I**; ნემა — კიფა, მავრიტანია; **604** კმ) მოიგო იაპონელმა ჰიროში მაზუოკამ (მიცუბიში). მისი ეკიპაჟი მერვე გამოდგა, ვინაც წლევანდელ რალში თუნდაც ერთ ეტაპზე გაიმარჯვა.

ლიდერი კენძირო შინოზუკა (იაპონია; მიცუბიში; ნავიგატორი ანრი მანი, საფრანგეთი) V ადგილზე გავიდა, მაგრამ ბევრით აჯობა ფრანგ მდევარ ჟან-პიერ ფონტანეის (ესეც მიცუბიში; ნავიგატორი ბრიუნო მუსმარა) და **4** წუთითა და **57** წამით დაწინაურდა.

მოტოციკლისტთა ლიდერმა სტეფან პეტრანსელმა (საფრანგეთი; იამაჰა) ეტაპზე **VII** ადგილი დაიჭირა. გაიმარჯვა ერიკ ბერნარმა (საფრანგეთი; კტმ).

**XIV** ეტაპის (**18. I**; კიფა — სენ-ლუი, სენეგალი; **751** კმ) შემდეგ ფონტანეიმ სხვაობა **3.15**-მდე შეამცირა, რაკი წელს ეს უკვე მეხუთედ გაიმარჯვა ეტაპზე. პეტრანსელი **VI** ადგილს დასჯერდა, ორ-ბორბლიანებში კი საუკეთესო პორტუგალიელი პაოლუ მარკეში (კტმ) იყო.

ბოლო, **XV** ეტაპი (**19. I**; სენ-ლუი — დაკარი; **255** კმ) ისევ გერმანელმა ქალმა იუტა კლაინშმიდტმა (ბაგი) მოიგო. მას **55** წამით ჩამორჩა შინოზუკა, რომლის ჯამური დრო **4** წუთითა და **16** წამით სჯობს მეორე ადგილზე გასული ფონტანეისას. პეტრანსელმა ამ დღეს კიდევ უფრო ცუდი — **XV** ადგილი დაიჭირა, მაგრამ ჯამში ორ-საათ-ნახევარზე მეტით მაინც აჯობა მეორე ადგილზე გასულ ოსკარ გაიარდოს (ესპანეთი, კაჯივა).

შინოზუკა შეიქნა პირველი იაპონელი, ვინაც დაკარის რალი მოიგო. პეტრანსელმა მეხუთედ გაიმარჯვა.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

# ჩოგბურთი

AUSTRALIAN OPEN

## ავსტრალიის ღია პირველობა

მელბურნი

### ქალები

მესამე წრე. **17. I**: კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, **3**) — ასა კარლსონი (შვედეთი) **6:0, 6:1**; საბინე აპელმანსი (ბელგია, **16**) — კრის ბუგერტი (ჰოლანდია) **6:1, 3:0**, მერე ბუგერტი თეძოს ტკივილის გამო დანებდა

**18. I**: მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, **4**) — ბარბარა შეტი (ავსტრია) **6:2, 6:1**; ირინა სპირლეა (რუმინეთი, **8**) — სილვია ფარინა (იტალია) **6:1, 6:3**; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი, **9**) — ში-ტინგ ვანგი (ტაივანი) **6:3, 7:6**; მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ, **14**) — ჰენრიეტა ნადიოვა (სლოვაკეთი) **6:2, 6:1**; ჩანდა რუბინი (აშშ, **15**) — სანდრა კლეინოვა (ჩეხეთი) **6:1, 6:3**

დომინიკ ფანრუსტი (ბელგია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, **2**) **1:6, 6:4, 8:6.** 23 წლის ბელგიელს კარიერაში ორადორი ტურნირი მოუგია: მეორე — წინის წინა კვირაში, ჰობართში (ტასმანია). მელბურნში მეოთხე წრეში 1992 წელსაც გასულა. ახლა ბოლო ხელს 2:5 აგებდა, თანაც მკლავი ტკიოდა და რომ გაიმარჯვა, გაოგნდა. სანჩესი ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად გამოეთიშა დიდი სლემის ტურნირს ეგზომ ადრეულ სტადიაზე

მეოთხე წრე — მერვედფინალი

**19. I**, კვირა, განთესილთა სხეპვის დღე იყო: ამანდა კუტცერი (სამხ. აფრიკა, **12**) — შტეფი გრაფი (გერმანია, **1**) **6:2, 7:5.** გრაფს დიდი სლემის ტურნირებში ზედიზედ 45 მატჩი მოეგო და ზედიზედ ექვსი ტიტულიც მოეპოვებინა. მეორე ხელს ამ მეჯიბრში უკვე მესამედ აგებდა 2:5-ს. ამჯერად განსაცდელს თავი ველარ დააღწია და წააგო გოგოსთან, ვინაც კარუს უდაბნოში კია გაზრდილი, მაგრამ შტეფიზე 30 სანტიმეტრით დაბალია და წინა 10 მატჩიდან ერთადერთხელ დაუმარცხებია დიდი გერმანელი — 1995 წელს, კანადაში. გრაფი, ვისაც მხარი ტკიოდა, გაემგზავრა შინ, სადაც ამ კვირაში სასამართლო განაჩენს გამოუტანს მამამის პეტერს.

# მროთბაშად ამოტოლა ზარალი



აპელმანსი (**16**) — მარტინესი (**3**) **2:6, 7:5, 6:1.** 141-წუთიანმა მატჩმა ცაცია ბელგიელი ისე დაქანცა, რომ წვეთოვანით მკურნალობა დაჭირდა. შარშანწინ საბინე შინ მავანმა ჟურნალმა იდეალურ ქალად შერაცხა. კარიერაში 7 ტიტული მოუგია.

მარი პირსი (საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია, **5**) **6:2, 6:3.** პირსი ორი წლის წინ იყო ავსტრალიის ჩემპიონი და კლასიფიკაციაში მესამე ადგილიც ეჭირა, მაგრამ ახლა ოდენ 22-ეა!

ქიმბერლი პო (აშშ) — ლინდზი დავენპორტი (აშშ, **7**) **7:6 (15-13), 6:4.** გაბარიტებით პო ისევე შეეფარდება დავენპორტს, როგორც კუტცერი — გრაფს.

**20. I**: ჰინგისი (**4**) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) **7:6, 6:1**; სპირლეა (**8**) — ჰაბსუდოვა (**9**) **6:4, 6:4**; ფერნანდესი (**14**) — პატი შნაიდერი (შვეიცარია) **4:6, 6:4, 6:1**; ფანრუსტი — რუბინი (**15**) **7:5, 6:4.** ქალები ამბოხდნენ და მოიხმეს თავიანთი ასოციაციის წესი, ექსტრემალურ პირობებში გადამწყვეტი, მესამე ხელის წინ 10-წუთიან დასვენებას რომ ითვალისწინებს. დიდი ელჩობაც მიუგზავნეს ტურნირის ორგანიზატორებს, მაგრამ ამათ ცივი უარი ტკიცეს მანდილოსნებს, ჩვენს ტურნირს საერთაშორისო ფედერაცია ატარებს და არა თქვენი ასოციაცია; ამიტომ მაინც ჩვენი წესებით მოგიწევთ თამაშიო!

აფრიკელმა ამანდა კუტცერმა (და არა კოტცერმა) შტეფი გრაფის ცოდვა დაიდო

როიტერი მელბურნიდან

### ვაჟები

**17. I**: მაიქლ ჩანგი (აშშ, **2**) — თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) **6:1, 7:6 (7-3), 6:3.** 22 წლის ბრიტანელისგან, უკვე მე-14 ჩოგანი რომაა, ბევრს ელოდნენ, მაგრამ 40 უნებური შეცდომა მოუვიდა.

თომას ენკვისტი (შვედეთი, **7**) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) **7:6 (10-8), 7:5, 6:2**; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — კარსტენ ბრააში (გერმანია) **6:4, 7:6 (7-5), 6:3**

**18. I**: პიტ სამპრასი (აშშ, **1**) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) **6:1, 6:0, 6:1.** მეტოქეთა წინა შეხვედრათა ბალანსი აშკარად სამპრასის სასარგებლოდ იყო 9-0. შარშან ამ ეტაპზე პიტს მოუგო მასპინძელმა „სკად" ფილიპუსისმა, ამას კი ვუდფორდი მოერია და ნახევარფინალს უწია. ავსტრალიელს 15 ათასი კაცი ამხნევებდა, მაგრამ ამერიკელმა 79 წუთში გაანადგურა და ისე გაიხარა, რომ მალაყიც გააკეთა.

გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, **3**) — ქრის ვუდრაფი (აშშ) **6:3, 6:7 (5-7), 6:3, 6:1**

თომას მუსტერი (ავსტრია, **5**) — იენს კლიპშილდი (გერმანია) **6:4, 7:6 (7-2), 6:3.** მუსტერმა იანგლა და ბურთს ერთხელ მეტოქის უკანა ხაზამდეც კი მისდია, მერე კი შეიცხადა, ეს სად მოვსულვარო.

ვეინ ფერერა (სამხ. აფრიკა, **8**) — რენცო ფურლანი (იტალია) **6:4, 6:4, 6:7 (3-7), 6:1**; ალბერტ კოსტა (ესპანეთი, **10**) — სქოთ დრეიპერი (ავსტრალია) **6:4, 6:2, 7:5**; ჯიმ კურიე (აშშ, **11**) — ჯეფ თარანგო (აშშ) **6:1, 7:6 (7-3), 6:3**

დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, **16**) **6:3, 7:6 (7-3), 6:7 (4-7), 2:0**, ესპანელს ფეხის კრუნჩხვა დაეწყო და დანებდა

მეოთხე წრე — მერვედფინალი

**19. I**: ჩანგი (**2**) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) **4:6, 6:2, 6:2, 6:1.** 22 წლის მედვედევი ერთ დროს მე-4 ჩოგანი რომ ყოფილა, ახლა 36-ეა, მაგრამ წელი წარმატებით დაიწყო.

მარსელო რიოსი (ჩილე, **9**) — ენკვისტი (**7**) **4:6, 6:4, 7:6 (7-4), 6:7 (5-7), 6:3**; კარლოს მოია (ესპანეთი) — ბიორკმანი **6:3, 1:6, 3:6, 6:2, 6:4** (2 საათსა და 27 წუთში); ფელიქს მანტია (ესპანეთი, **14**) — მალივაი ვოშინგთონი (აშშ) **7:5, 6:2, 6:1**

**20 I**: სამპრასი (**1**) — ჰრბატი **6:7 (4-7), 6:3, 6:4, 3:6, 6:4** (2 საათსა და 53 წუთში). 19 წლის ჰრბატი 76-ე ჩოგანი და მოწინავე ათეულის უმრწემესი წევრია. ბოლო ხელს ერთი პირობა 4:2 იგებდა.

ივანიშევიჩი (**3**) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) **4:6, 6:2, 6:7 (7-9), 6:3, 6:3.** ეს თამაშიც სამ საათს გაგრძელდა. ბოლო ხელში, 3:3-ზე, გორანი თავის მოწოდებას 0-40 აგებდა, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი ეისი გააზერხა. სულ ხორვატმა ამ დღეს 38 ეისი შეიძლო, მაგრამ მოწოდებისას 16 ორმაგი შეცდომაც მოუვიდა.

ალბერტ კოსტა (ესპანეთი, **10**) — ფერერა (**8**) **6:3, 6:2, 3:2**; მერე აფრიკელმა ფეხი დაიშავა.

მუსტერი (**5**) — კურიე (**11**) **6:2, 3:6, 7:6, 6:3.** კურიეს მუსტერი აქამდე ზედიზედ 7-ჯერ დაემარცხებინა. თამაში ღამის 12 საათისთვის დასრულდა.

ავსტრალიის შარშანდელი ჩემპიონი მონიკა სელეში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ტოკიოს ტურნირშიც, დღეის სწორს რომ იწყება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29